№ 11
კვირა, 13 იანვარი 1902 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-1902

ივერია

№ 11
კვირა, 13 იანვარი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათი, 15 იანვარს.

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისთვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:

ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.)
ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიას
ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიას (ნიკოლოზ. ქ. ქალაქთაარის ქარვასლის პირ-და-პირ).
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა.

ქართული თეატრი
კვირას, 13 იანვარს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
დაკლებულის ფასებით
მ. მ. საფაროვა-აბაშიძის მონაწილეობით

I

ალლუმი

კომედია 4 მოქმედ. გ. გუნიასი.

შემდეგ

II

სირცხვილია

კომედია-ხუმრობა ერთ მოქ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვა-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები დაკლებულია.
რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება წარმოსადგენად მ. საფაროვის საბენეფისოდ, „თამარ ცბიერი“, „ტყვე“, „დასჯილი“

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. ზ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე. ბავშვებისა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისს და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგობაა, ღამის 9 საათიდგან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი
სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას.
ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა.
ავჭალის ქუჩა, № 85.
(142—242—18).

ახალი ამბავი

⁂ დღეს, იანვრის 13-ს, დილით, დანიშნულია წლიური კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა, დურგლებისავე საკუთარს ქარხანაში მადათოვის კუნძულზე, მუხრან-ბატონის შენობაში. კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის წევრნი და განიხილოს წლევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა და წლიური ანგარიში.

⁂ ტფილისის მებაღეობის სკოლის მზრუნველმა თხოვნა შეიტანა სამეურნეო საზოგადოების საბჭოში, რომ დაამტკიცონ საზოგადო განათლების საგნების მასწავლებლად ბ. შხიანცი.

⁂ გამოვიდა მეორმოცე გამოცემა „ქილვეიანის“ წიგნაკისა. ფასი 5 კაპ. ქართულს ენაზედ წიგნაკის მეორმოცედ გამოცემა საყურადღებოა!

⁂ ტფილისის ახლო-მახლო სოფლებისა და ხეობებისაკენ თითქმის ყველა ღელეები გაუყინავს, მაგალითებრ ვერისა, ბეთანიის ხეობისა, დიღმისა, ალგეთისა და სხვაც მრავალნი. ეს ღელეები მთებიდგან მომდინარე წყალთაგან შესდგებან. ყინულიც, რასაკვირველია, იქაური სუფთა არის და უკეთესი. ამიტომ სოფლელებმა აქა-იქიდამ მრავლად იწყეს სოფლებიდამ ჩამოტანა და გასყიდვა.

⁂ ტფილისის მიკროსკოპიულ სადგურს წარსულის წლის დეკემბერში მიკროსკოპიულად გაუსინჯავს 6.194 დაკლული ღორი. მათ შორის 273 ღორი, ტრიხინითა და ფინით შეპყრობილი, დაუწვავთ.

⁂ საქონლის ბაკიდგან წარსულს წელს ქალაქს შემოსვლია 17.493 მან. და 20 კაპ. აქედგან 7.937 მან. 90 კაპ. შემოსულა მსხვილფეხ საქონლისაგან და 9.555 მან. და 20 კ. წვრილ-ფეხისაგან.

⁂ ტფილისის სასაკლაოს (ბოინია) ანგარიშიდგან, სხვათა შორის, სჩანს, რომ წარსულის წლის დეკემბერში დაუკლავთ 5.476 მსხვილ-ფეხი საქონელი, 656 ხბო, 6.613 ღორი (მათ შორის 419 გოჭი) და 13.102 ცხვარი.

⁂ საქონლის ბაკის ზედამხედველის ანგარიშიდგან ვტყობილობთ, რომ წარსულის წლის განმავლობაში ამ ბაკში მოურეკნიათ: ა) 79.379 მსხვილ-ფეხი საქონელი, მათგან გაყიდულა 26.094 სული, თითოეული 17-დგან 95 მანეთამდე; ბ) 191.106 წვრილ-ფეხი საქონელი, მათგან გაყიდულა 106294. სული, თითოეული 2—12 მანეთამდე.

⁂ დოქტორს ყ. მ. ჩიქოვანს დადანტისტს ხორავას პოლიციისათვის განუცხადებიათ, რომ მათნი მსახურნი სისტემატიურად ჰპარავდნენ თურმე მაგიდის უჯრებიდგან ფულებს. პირველისათვის ამ ნაირად მოუპარავთ სამასი მანეთი („კავკაზი“).

⁂ ქალაქის გამგეობის გუშინწინდელ კრებაზედ განხილულ იქმნა სასანიტარო-სამკურნალო საბჭოსაგან წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა გადამდებ სენით ავადმყოფთათვის. ორის ახალ ბარაკის გასახსნელად. ხარჯთ-აღრიცხვით: 3 ორდინატორს ექნება ჯამაგირი ორ-ორი ათასი მანეთი, ხოლო, რომელიც მათგანი იკისრებს გამგეობას, მიემატება 500 მან. ზედამხედველს 600 მან.; 4 ფერშალს მოსამსახურეს თითოს 420 მან. მზარეულს 300 მან., მის თანაშემწეს 180 მან., პირველ მზარეულის მოსამსახურეს 180 მან., დამტარებელს 180 მან. მეეზოვეს 180 მან. დარაჯს 180 მან. მრეცხელს—240 მან. ორს მის თანაშემწეს თითოს 360 მან. სანოვაგისა და სხვა საჭირო ხარჯისათვის გადადებულია 24,827 მან. სათადარიგო ხარჯი 1000 მან. ბარაკის მოწყობისა და ავეჯეულობისათვის გადადებულია 5000 მან. გამგეობამ შეიწყნარა სასან. სამკურნალოს ხარჯთ-აღრიცხვა და დაადგინა დროზედ შეუდგნენ ხსენებულ ბარაკთა დაარსების საქმეს.

⁂ ქვეყანას ეშველა და ჩვენს აბანოებში-კი

წკიპურტი

ახირებული მოდა.—ნიჭიერი სტატისტიკოსი.—საგულისხმიერო ანგარიში.—«უხარშელა“ წერილი.—„ქართველ მწერალთა“ ქართული.—ენისა და აზრთა სიმახინჯე.—წკიპურტის წკიპურტი.—კარრიკატურა და მისი ვექილი.—უცნაური პატივისცემა.—შეშლილი ნახტომი და კიდევ ერთი „მარგალიტი“.

მოვიგოზინაყ-მურაბეთ და აიაზმა-სხურებულნი შევუდექით ცხოვრების მძიმე ჭაპანის წევას.

როდესაც ამ წკიპურტს წაიკითხავს ჩემი მკითხველი, იგი უკვე „დაბერებული“ იქნება და ამიტომ არ ვულოცავ ახალს წელს.

ან რა უნდა მივულოცო, წელთა სვლასა და ცვლას მხოლოდ კალენდარის შემდგენელთათვისა აქვს მნიშვნელობა.

იმათ გარეშე ხშირად ერთი დღე მთელს საუკუნესა სჯობს თავისის ღირსებითა და მნიშვნელობით.

მაშ გაუმარჯოს იმ დღეს, როცა... როცა... როცა... ჩვენი გაზეთები თავიანთ პროგრამას გამოარკვევენ.

მართლა, ახირებული მოდა შემოიღეს რედაქციებმა: ძველი და ახალი რედაქცია წელებზედ ფეხს იდგამს იმის დასამტკიცებლად, რომ ჩემი „მიმართულება“ განსაკუთრებულია, მე სულ „სხვა გზა“ მაქვს, „სხვა ჯგუფს“ შევადგენო.

და აი, ამ საგანზედ სწერენ და სწერენ, ერთმანეთს თავ-გადაგლეჯილნი უმტკიცებენ, რომ სიარული შეგვიძლიან, თეძო-ამოგდებულნი და კოჭლნი არა ვართო, და... იქავეკი დგანან.

კარგი იქნება, გაივლიდნენ და თავისს ნაზსა და ჰაეროვანს სიარულს დაგვანახვებდნენ.

„სიტყვა სიტყვაა, საქმე-კი სხვაა“!..

ამ სიტყვათა შედრევანობას შედეგად მხოლოდ ქაღალდის ხარჯი მოსდევს და... მკითხველთა გამოყრუება.

ფელეტონი

დათუნა გოცირიძე.

(ძველებური ამბავი).

რაჭველი აზნაური დათუნა გოცირიძე მისს დროში განთქმული ვაჟ-კაცი იყო მთელს იმერეთში. ხმალს უქებდნენ და პირველობაც უგვირგვინებდა, სანამ საყვარელი დისწული, ისივე გაზრდილი, ივანე კვიტაშვილი არ წამოიზარდა. სახელოვანი მოწაფე გვერდში ამოუდგა სახელ-განთქმულს მოძღვარს... რაღა ჯობია ამ ნეტარებას?!.. მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ჩამავალი მზე ამომავალ მთვარეს განზე უყურებსო“. თავმოყვარეობის სიხარბემ შური შეაპარა ორივეს და მათი გმირული ზენა მოყვრობა საქვეყნოთ მტერ-მოყვრობად შეიცვალა. მაგრამ მაინც მათი ცალ-ყბა მეგობრობა სხვების ორ-ფეხ მოყვრობაზე უკეთესი იყო, სანამ ყმაწვილურმა, აშვებულმა თავხედობამ ხმალი არ შეურცხვინა დამჯდარს, დინჯს მოხუცებულობას.

დადიანმა მეფეს საარაკო ნებიერი მიუძღვნა. მეჯოგეები ძლივს იმაგრებდნენ გაგარეულებულ ოთხ-ფეხს. მეფე გეგუთის სასახლეში ბრძანდებოდა აივანზე გადამჯდარი და თვალს ადევნებდა მოზვრის ურჩობას.

— ნეტავ, თუ ვინმემ შეიძლოს, რომ ერთის მოქნევით თავი გააგდებინოსო, ბრძანა.

— მაგას დათუნას მეტი ვერავინ მიჰბედავსო,—მოახსენა სარდალ-წერეთელმა.

— ვერც მისი დისწულიო? იკითხეს კარისკაცებმა.

— ვერც ისაო, გადასწყვიტეს ერთ-ხმად და დაიბარეს დათუნა.

ამ ამბავმა გული მოუკლა ახალგაზდა კვიტაშვილს, მაგრამ რაღას იტყოდა?...

მეორე დილას გეგუთის მინდორზე სასახლის წინ შემოხაზეს წრე, შემოავლეს გალავანი და აუშვეს ნებიერი. პირუტყვმა რომ თავისუფლება იგრძნო, შეხტა და შეინავარდა, იწყო ბღუილი და ტორებ-რქებით ბდღვირიააყენა.

— აბა, დათუნა, გვიჩვენე შენი ვაჟ-კაცობაო! ბრძანა მეფემ.

შევიდა წრეში გოცირიძე. შემოხედა ნებიერმა, აიღო თავი, შემოაბდღალა თვალები, შემოჰბღუილა და მიაშურა. დათუნა გაუხტა განზე, მოუმარჯვა ხმალი და სწყვიტა. წაიფორხილა გაბრაზებულმა პარუტყვმა, ჯერ წაიჩოქა წინა მუხლებზე და მერე-კი გადაგორდა. თავი ისევ კისერზე ება, მაგრამ კისრის ძვლები-კი დასჩეჩხოდა.

გაუკვირდა ვაჟ-კაცს... დაჰხედა ხმალს და ნახა, რომ პირი დაბეგვილი ჰქონდა. „ვინ გაბედა ჩემი ხმლის შერცხვენაო?“—ჩაიდუდღუნა და გადისვა ულვაშებზე ხელი:—„ეს ულვაში ნუღა მსხმია, თუ ეს შევარჩინო ამის მქნელსო!.. უნდა გამისწორდეს!.. ან ის და ან მეო!“

თურმე იმ წინა ღამეს დისწული მიჰპარვოდა მძინარე ბიძას, ამოეღო ხმალი ქარქაშით და დაებლაგვა პირი.

ვაჟკაცის სიტყვა გაუტეხელია!..

ვერც მეფემ, ვერც ქუთათელ-გენათელმა, ვერც მოძღვარმა და ვერც თანამესისხლხორცეებმა ვეღარ შეარიგეს მტერ-მოყვარე ბიძა-დისწული. ახალგაზრდა კვიტაშვილი იძულებული შეიქმნა დაეგდო რაჭის საზღვარი და გადმოსულიყო იმერეთში. საყვარელ დისწულის და სასიქადულო გაზდილის დაკარგვა ვეღარ აიტანა დათუნამ... ორგვარის გრძნობის ჭიდილი აღარ აძლევდა მოსვენებას... არ ემეტებოდა სასიკვდილოდ მტერი, მაგრამ იმავე დროს აღარ ეხერხებოდა აღარც ვაჟკაცურ დაჩემების გატეხა და ულვაშების შერცხვენა. დანაღვლიანდა და გატყდა.

ბოლოს გადასწყვიტა: საამქვეყნოდ რაღა გამოსადეგი ვარო და განიზრახა: „ნიკოლოზწმიდაში“ ბერად შესვლა. მაგრამ რადგანაც სასახლის ნებართვა და გენათელის თანხმობა საჭირო იყო, მიაშურა მეფეს ვარციხისაკენ.

სწორედ იმ ხანებში დაღისტნიდგან გადმოსული, განთქმული ალიფონა ბელადი მისის წუნკლებით აჯამეთის უტეხს ტყეში ბუდობდა და იმ გზით სიარული, თუ არ ჯარით, ტორო კაცისათვის საფრთხილო იყო. ვარციხისკენ მიმავალი მგზავრები საზოგადოდ სიფრთხილეს იჭერდნენ, შორის გზით უვლიდნენ, მაგრამ დათუნამ შიში არ იცოდა და პირდაპირ გადასჭრა აჯამეთი.

შუა-გზა გავლილი ჰქონდა, რომ გზის პირად, პატარა მინდორში, ვიღაც მგზავრი დაინახა მიწოლილი ჩეროში; ფარღიალს თავი უნაგირზე მიედვა და ეძინა. მიუახლოვდა დათუნა, დაჰხედა და შეკრთა... ივანე კვიტაშვილი გამოდგა, ხმალზე მოივლო ხელი, მაგრამ, თითქოს შანთმა დასთუთქაო, უცბად უშვა ხელი და სთქვა გუნებაში: „ეს ხომ ქურდობა იქნება! გავაღვიძებ და ისე შევებრძვიო“. გადასწყვიტა, მაგრამ წინ მაინც ბიჯი აღარ წასდგა: „არც ეს ივარგებსო!“—კიდევ გაიფიქრა.—„ძალით გამოღვიძებული მისს გუნებაზე ხომ არ იქნება და მაშინ მაზე უცბად მისვლა მაინც კიდევ ლაჩრობა იქნებაო. არა!.. ჯერ გამოიძინოს, ადგეს თავის თავად, იარაღი შემოირტყას და მაშინ გავუსწორდებით ერთმანეთსო; და მანამდის-კი მეც მოვიცდი... სად წამივაო?!“ მიაბა ცხენი ბუჩქზე, მიდგა ტყის პირად, აქვე მუხის ძირში მიჯდა და ამოეფარა ხეს.

ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ აქვე მახლობლად ჟღურტული მოესმა. მიიხედა და დაინახა ჩასაფრებული ლეკები. ერთს მათგანს ამოეღო ნიშანში მძინარე მგზავრი. ვეფხივით მივარდა დათუნა და უტაცა ხელი ჩახმახ-შეყენებულ თოფის პირს; დაიჭექა შაშხანამ, მარცხენა ხელი ძირს დაუშვა დათუნამ, გახვრეტილ ხელის გულში სისხლი მოთქრიალობდა. მარჯვენა ხელით იძრო ხმალი და დასჭყივლა: „დამრჩით წუნკლებოო!“

თოფის გასროლით დამფრთხალი მძინარი წამოვარდა ზეზე, იგდო ხელში იარაღი და მიაშურა იქითკენ, საიდგან ქართული შემოესმა. გასცა ხმა და მიიჭრა. ერთს შემოჰხვეოდნენ გარს ლეკები ჯარად და ის ერთი ყველას იგერებდა. მომხრე რომ დაინახეს ლეკებმა, დაფრთხნენ და გადაცვივდნენ!.. დარჩნენ მარტოდ პირის პირ ორი ქართველი, ერთმანეთის მოსისხლე მტრები... ბიძა და დისწული, დათუნა გოცირიძე და ივანე კვიტაშვილი!...

დიდხანს ხმა ვეღარ ამოიღეს. ბოლოს, როგორც იქნა, შეეკითხა ახალგაზრდა:

— შენა ხარ, ბიძა ჩემო?—აქ რას მოუყვანიხარ?..

— შენს სიგლახეს უპასუხა მოხუცმა:—ბედს ვაჟკაცობა მოუცია შენთვის, მაგრამ ღმერთს-კი ჭკუა წაურთმევია... უადგილო ადგილას რომ ძილს მიჰნდობიხარ, ხომ ლორივით გადაგაგორებდნენ, რომ მე არ წამოგსწრებოდი და მტერს წინ არ გადავღობებოდიო!..

ახალგაზდა უსიტყვოდ დაეშვა მუხლის თავებზე და მოეხვია მოხუცს. მოხუცმა წამოაყენა, ჩაიკრა გულში და უთხრა: „შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე-კი ქვეყნის წინაშე: სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერებია, შინაური მტრობა რჯულის უარის ყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვინდოს!“

მისცეს მხარი მხარს, დაიძახეს: „მდევარიო!“ და ერთად გამოუდგნენ მტერს...

ასე ჰფიქრობდნენ ქართველები ამ ასის წლის წინად და დღეს როგორღა ჰფიქრობთ, თანამედროვე კვიტაშვილ-გოცირიძეებო, თუ კიდევ-ღა სადმე ხართ?!.

აკაკი

შესაფერი სისუფთავე ვერ შემოიღეს. ამ დღეებში პატარა ბავშვი წაუყვანიათ აბანოში და ბანაობის რამდენისამე დღის შემდეგ ბავშვისათვის გამოუყრია მუწუკებიდა ახლიძალიან შეწუხებულია თურმე. ჰირისუფლების აზრით ეს იმისი ბრალია, რომ ფუთებს, რომლებსაც აბანოში მიმსვლელნი ხმარობენ, არა რეცხენ და ისე აშრობენ და შემდეგ სხვას სთავაზობენ იმავე ფუთას.

ურიგო არ იქნებოდა სასანიტარო—სამკურნალო ინსპექციას ყურადღება მიექცია ამ გარემოებისათვის.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭომ შეიმუშავა და გუბერნატორმა დაამტკიცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება საქონლის ხორცის ხარისხებად დაყოფის თაობაზე:

§ 1. მცხოვრებლებისათვის ხორცის ყიდვის გასაადვილებლად დაწესებულია, რომ საქონლის (ხვადაგის) ხორცი იყიდებოდეს სამ ხარისხად დაყოფილი.

პირველ ხარისხს შეადგენს: ბარკალი, (თეძო, უკანა ბარკალი, თეძოს ნაჭერი) უარტალოდ (კანჭი) და უძვლოდ, 2) სუკი (თაფლასუკი და წკეპლები) შემხობილი, 3) საკატლეტე (როსტბივი) უხერხემლოდ, 4) ენა.

მეორე ხარისხს შეადგენს: სუკის ნაჭერი უხერხემლოდ; 2) მკერდი; 3) ჩალაღაჯი (უპირველხერხემლოდ), 4) საპარავი.

მესამე ხარისხს შეადგენს: 1) ბეჭი; 2) ანგალა (მხარი, მხარ-ბეჭი), არტალა (კანჭი), 3) კისერი (ხერხემლის პირველი რგოლი), 4) ნაწიბური. შენიშვნა: ა) სუკი იყიდება ცალკე ნიხრით; ბ) ძვლები (ბარკლისა, ფილეისა, ხერხემლისა და სხვა.) იყიდება ხარისხს გარეშე, გირვანქა 2 კაპეიკად, რაც უნდა ნიხრი იყოს.

§ 2. ყოველსავე ხორცით სავაჭრო დუქანს უნდა ჰქონდეს სამი განყოფილება თითოეულის ხარისხისათვის ცალ-ცალკე, ზედ წარწერით ხარისხისა და ფასისა. შენიშვნა: დუქნის თითოეული განყოფილება უნდა გადაფიცრულ იყოს ერთმანეთისაგან ჩამოსწვრივ, ფიცრები უნდა შეღებულ იქმნას ზეთის საღებავით, 5 გოჯის სიმაღლეზედ.

§ 3. აღკრძალულია ამ განყოფილებებში კამეჩის ხორცი იქონიონ, აგრეთვე უმდაბლეს ხარისხის ხორცის უმაღლესს ხარისხის განყოფილებაში ჩამოკიდება.

§ 4. სასწორის აზრა (დავესკა) უთუოდ იმავე ხარისხისა უნდა იყოს, რა ხარისხის ხორციც უყიდია მუშტარს.

§ 5. ცხვრისა და ხბოს ხორცი, აგრეთვე კამეჩისაც ხარისხებად არ იყოფა. ამ ხორცზე განსაკუთრებული ნიხრია.

§ 6. ღორის ხორცი იყიდება განსაკუთრებული ნიხრით და იყოფა შემდეგ ხარისხებად: 1) უკანა ბარკალი (ლორი); 2) საკატლეტე (უქონოდ და უტყავოდ); 3) დანარჩენი ხორცი.

§ 7. კამეჩის ხორცი ცალკე დუქნებში იყიდება, სადაც სხვა საქონლის ხორცის შეტანა აღკრძალულია.

ამ დადგენილებას ძალა ეძლევა მომავალ თებერვლის პირველიდგან.

იმერეთის ამბები.

ქუთაისში საბჭოს ფინანსიურ კომისიამ განიხილა გამგეობის მესამე წევრის თანამდებობის დაარსების საკითხი და დაეთანხმა წინადადების ინიციატორთა აზრს. ჯამაგირად ამ მესამე წევრისათვის დაადგინეს 1200 მან. წელიწადში.

შავი-ქვის მრეწველთა საზოგადოებას ნება დართეს, ჭიათურაში ქართულს ენაზე გამართოს ხოლმე მუშებისათვის საექიმო და სატეხნიკო საგნებზე კითხვანი (Нов. Обозр.).

⁂ სოფელ ბორში (შორაპნის მაზრა) იქაურს მცხოვრებს ს. ზ. მაჭავარიანის ადგილში ამერიკული ვაზის დასარგავად მიწის გადაბრუნების დროს მიწაში რამდენიმე ოქრო-ვერცხლის ნივთები იპოვეს, რომლებზედაც კაცი ადვილად გაარჩევს ბერძნულ წარწერებს. აშკარაა, ეს ნივთები მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ, რასაც ნივთებთან ერთად ნაპოვნი კაცის ჩონჩხიც ჰმოწმობს. ნივთების რამდენიმე ცალი თბილისს მუზეუმში იქმნა გამოგზავნილი.

წინადაც უპოვიათ ახლო-მახლო ადგილებში ასეთი ნივთები, მაგრამ მპოვნელთ ოქრო-ვერცხლი სახლში მოუხმარებიათ.

⁂ ალ. ლორთქიფანიძისა და ი. ა. წულუკიძის საქმეებს (ჰბრალდებათ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება) მთავარმართებლის განკარგულებით ამ მოკლე ხანში გაარჩევს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო.

⁂ ხვალ, 14 იანვარს, ბათომში იმართება ჩვეულებრივი საღამო იქაურის ქართულის სკოლის სასარგებლოდ. საღამოზე მონაწილეობის მისაღებად ტფილისიდგან მიდის აკაკი!

⁂ ს. ზემო ბარი (რაჭის მაზრა): ამ სოფლის მცხოვრები ი. ლ—ძე წარსულის წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გამოვიდა სახლიდგან (სახლში არაფერი არ უსაქვამს თუ სად მიდიოდა) და მას აქეთ არსადა სჩანს და დღემდის ვერც პატრონს გაუგია, თუ სად არის. ყველა ქალაქებში ცნობები გაგზავნეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. საწყალის წვრილი ცოლშვილი ერთობ გულ-მდუღა ეთ არიან.

ვერელების საქმე.

ვისაც-კი ყური მოუკრავს ვერელების საქმისთვის იმას საინტერესოდ უნდა მიაჩნდეს ამ დაუსრულებელის დავის ამბავი. მოსწრებულმა კაცებმა ასე გვიამბეს ეს საქმე: ვერაზედ, ოლგის ქუჩის პირად, მტკვრის მხარეს, დასახლებულია 72 კომლი ღარიბი ხალხი. სულ მამული, რომელიც ვერელებს უჭირავთ, $4^{1}/_{2}$ დესეტინა იქნება ზომით. თითქმის ყველანი ქართველები არიან. მათი ხელობა ყოფილა მამა-პაპითვე მეურნეობა. ახლაკი ზოგი ხელოსანია, ზოგი შეშა-ნახშირის გამყიდავი, ზოგი მხერხავი და სხვ. ერთის სიტყვით, დღიურ დუგმას ძლივს შოულობენ და ისე იკვებებიან თავიანთ ცოლ-შვილით. პირველ შეხედვით ეს მოსახლეობა მოგაგონებთ სოფელსა და მის მცხოვრებლებს. შენობანი არც ქალაქის სახლებსა ჰგავს და არც სოფლისას. უფრო ქოხმახებია. ქუჩები ვიწროა და ოღრო-ჩოღრო. გზის პირას დაგხვდებათ სათონე, საქათმე, ნაკალოვრები, ნაგომრები; ბევრს ეხლაც აქვს გომები. ბევრს ხარ-კამეჩი ჰყავს და აქვთ დაბარული ურმები შეშის საზიდავად და ქალაქში გასაყიდად.

ყოველივე ესე ამტკიცებს, რომ ეს ხალხი დიდის ხნის დასახლებულია, თუმცა დღევანდლამდე შეურჩენია ძველებური ელფერი და ქალაქს დიდად არ უმოქმედნია ამ ხალხის ზნე-ჩვეულებაზედ. ეს მოსახლობა თავად ვარანცოვის დროს სცხოვრობდა ვერის ძველ არსენალის მახლობლად. თავად ვარანცოვის დროსვე, მისის ბრძანებით, (ათას რვაას ორმოცს წლებში) გადასახლებულ იქმნენ ამ ადგილას, სადაც ეხლა სცხოვრობენ. მიზეზიგადასახლებისა იყო თოფის წამლის სარდაფების სიახლოვე. მაშინ, ე. ი. გადმოსახლების დროს, ამ ადგილს უწოდებდნენ ბარათაანთ ადგილს. ბარათაანთი იყო, თუ ქალაქისა, ან სახელმწიფოს, ამას არავინ დაეძებდა, რადგან მთავრობამ ერთის ადგილიდამ მეორეზედ გადაასახლა და გადასახლებულნი კმაყოფილნი იყვნენ თავის ბედისა. გაიმართეს თავიანთთვის გუთნეული, მიჰყვეს ხელი ხვნა-თესვას და მეურნეობას და სცხოვრობდნენ ისე, როგორც მათ მამა-პაპას ეცხოვრა. ცოტ-ცოტათი ქოხები, მიწურები, ძველებური დარბაზები აგურის შენობებად გადაიქცა და ვერელების მოსახლობას ცოტაოდნად ფერი ეცვალა.

გავიდა ხანი და, როდესაც ქალაქში ქალაქის თვით-მმართველობამ შემოიღო დასაფასებელის გარდასახადის გაწერა სახლის პატრონებზედ, ვერელებიც არ იქმნენ განთავისუფლებულნი და იმავ წესით იხდიდნენ ყოველსავე გარდასახადს, როგორც შუა გულ ქალაქის სახლის პატრონები. ამას ამტკიცებს ძველი კვიტანციები, რომლებიც ეხლაც მოიძებნება თითო-ოროლა ვერელის ოჯახში. აქედგან საკმაოდ სჩანს, რომ მართლა ძველადვე ყოფილან დასახლებულნი აქ ვერელები და ქალაქსაც მათ საკუთრებად უცვნია მათი სახლ-კარი და სასახლ-კარო მამული. მაგრამ, შემდეგ სულ სხვა ნაირად დატრიალდა მათი ბედი. ვერელების მამული საჯარო ვაჭრობით სხვებმა იყიდეს, სახელდობრ ა. მელვინოვმა, რომელიც შარშან მოჰკლა ვერაზედ ცხენის რკინის-გზის ვაგონში ა. ცაბაძემ. მყიდველებმა სთხოვეს ვერელებს ან იჯარა ეძლიათ ან გადასახლებულიყვნენ. ეცათ ელდა ვერელებს და ასტეხეს დავა, მაგრამ გვიან-და იყო. აი, მოკლედ ამ დავის ისტორია:

ამ ოცდა ათიოდე წლის წინედ სცხოვრობდა ტფილისში ვიღაც ნიკო თამამშევი, პრაპორშჩიკის ჩინით. ნივთიერი შეძლება დიდი ჰქონია ამ თამამშევს, ყოფილა დიდი მოქეიფე და ფულის მფლანგავი. ცოტა თავის ნათქვამი კაციც ბრძანებულა და აუტეხნია ყოველ დღე ქეიფი ვერის დუქნებში. პირველ ამფსონებად გაუხდია ის ვერელები, რომელზედაც გვაქვს აქ ლაპარაკი. წლითი-წლობამდე ამ ქეიფსა და ლხინში იყვნენ ვერელები და ბატონი თამამშევი. ყველას პირზედ ეკერა სიტყვა: „ჩვენი ბატონი ნიკო თამამშოვიაო“! და იქნობამდე მივიდა საქმე, რომ თითქმის მართლა ბატონად სცნობდნენ. ბოლოს და ბოლოს თურმე ეს ბატონი ცოტათი ჭკუაზედ შეირყა და გარდაიცვალა კიდეც. დარჩა ქვრივი, რომელიც დანიშნეს მის ქონების „აპეკუნად“.

უპირველეს ყოვლისა ამ აპეკუნმა ჩასჭიდა ხელი ვერელების ადგილს და შეიტანა საჩივარი, რომ ვერაზედ ესა და ეს ადგილი ჩემის ქმრისა იყო, მე უნდა დამიმტკიცოთო. მოწმების ჩვენებით დამტკიცდა, რომ მართლა თამამშოვს ეკუთვნისო და დაამტკიცეს კიდეც თამამშოვზედ. ამ დროს ჩვენს ვერელებს ეძინათ და რას მოიფიქრებდნენ, თუ ასე დაბრუნდებოდა მათი ბედ-იღბალი. გავიდა ხანი და გაჩნდა საჩივარი ვიღაცისა ნიკო თამამშევზედ. გამოიტანეს აღმასრულებელი ფურცელი და საჯაროდ გაყიდვა დაინიშნა ვერელების ადგილისა. ვერელებს ამ დროს კიდევ ეძინათ და ყურს არ იბერტყავდნენ. ვაჭრობაში შევიდნენ ტფილისის მოქალაქენი: ა. პატრიანცი, აწ გარდაცვალებული, ალ. მელვინოვი, აგრეთვე გარდაცვალებული, და ა. ცაბაძე. სამთავ ერთად მთელი მამული საჯარო ვაჭრობით დაინარჩუნეს 4500 მანეთად. პატრიანცმა, რა-კი შეიტყო საქმის გარემოება, მაშინვე უარი სთქვა თავის წილზედ: მე იმოდენა ხალხის ცოდო არ მომასვენებს და არც შემიძლიან მოვიხმარო, ღმერთმა თქვენ მოგახმაროთო და დაუთმო თავისი ნაწილი ალ. მელვინოვს და ა. ცაბაძეს. გავარდა ხალხში ხმა და მხოლოდ ახლა, ამ გაყიდვის შემდეგ, გამოიღვიძეს ვერელებმა და ფაცი-ფუცით მიმართეს მართლმსაჯულებას. მართლ-მსაჯულებამ ეს საჯარო ვაჭრობა და ვერელების მამულის გაყიდვა კანონიერად სცნო. ვერელები თავიანთ დაუდევნელობის გამო ყველგან გამტყუვნდნენ, ოლქის სასამართლოდგან დაწყებული ვიდრე პალატამდე. ალ. მელვინოვმა და ა. ცაბაძემ სასამართლოს საქმის საწარმოებელი ფულიც დააკისრეს ვერელებს, თვითო კომლს ოც თუმნამდე და ამ თვეში საჯაროდ იყიდება მათი ქოხმახები. ბევრმა იმედი დაჰკარგა და დაემორჩილა მათს თხოვნას და შეასყიდეს ახალ ბატონებს თავიანთი სახლები, მაგრამ მომეტებული ნაწილი უარზედ სდგას და სენატში აწარმოებს საქმეს. ვერელებმა სცადეს შინაურად მორიგებოდნენ მამულის პატრონებს, მაგრამ ამ ცდამაც ამაოდ თურმე ჩაიარა და შესაძლოა ერთს მშვენიერს დღეს სრულიად ცარიელზედ დარჩეს ის ამოდენა ხალხი. ამბობენ, რომ ორმა შეძლებულმა და ქველმოქმედმა კაცმა იკისრეს შუა-კაცობა ამ საქმეში, თვითონაც უნდოდათ ფულით დაჰხმარებოდნენ ვერელებს, მაგრამ მამულის პატრონებმა მეტად ბევრად დააფასეს თავიანთი მამული და ამ დროის ძიებამაც ვერ გასჭრა ჯერ-ჯერობით.

ვნახოთ, როგორ გათავდება ეს საინტერესო საქმე. კარგი-კი იქნებოდა, რომ ჩვენს ნასწავლსა და განათლებულ ხალხში გამოჩენილიყო ვინმე მადლიანი კაცი, მცოდნე იურისტი, შეესწავლა ეს დავი-დარაბა თავიდგან ბოლომდე და გამოერკვია, როგორა და რა გზით მოხდა, რომ ამოდენა ხალხი თითქმის სულით ხორცამდე დალუპულა და მამა-პაპეულ ჭერს და ერთ ბოხჩა სასახლ-კარო ადგილსაც-კი ჰკარგავს საუკუნოდ და საშვილი-შვილოდ.

იგ. მჭ.

დაბა და სოფელი

სოფ. რუისპირი

(თელავის მაზრა)

წარსული წელიწადი უმოსავლო წელიწადი იყო რუისპირელებისათვის. რაც აუცილებელი არსებითი საზრდო გლეხებისათვის, იმ მხრივ ცარიელები დარჩნენ; მაგალითად, წინად რომ ამ სოფლის მცხოვრები გლეხი წლის საზრდოდგან მოჭარბებულს პურს და ღვინოს ჰყიდდა, წელს სხვაგანა ყიდულობს. თუ ვისმე ჰქონდა გასასყიდი ღვინო, კიდეც გაჰყიდეს, საპალნე 70-90 მანეთად. პური ზოგიერთებს ნახევარ წლის საზრდოთ არც-კი შეჰყვებათ, ღვინო ხომ სათქმელი არ არის; ზოგს ისე გაუქრა ვენახში ყურძენი, რომ ქოცოშიაც ვერ ჩაასხა თავისი საკმარისი, არამც თუ გასასყიდი ჰქონდეს; ზოგს-კი კვალინდებურ მოსავლის ნახევარი დაუდგა.

პური ძვირია, სამ მანეთ ნახევრიდგან ოთხ მანეთამდის ფასობს. სამი წელიწადია, რაც ამ სოფელში და ამის ახლო მდებარე სოფლებში პურის მოსავალმა იკლო, სიმინდმა-კი იმატა; წელსაც, როგორც წარსულ წლებში, რუისპირელებმა თავი კიდევ სიმინდით უნდა გამოიკვებონ. სიმინდი ორ მანეთიდგან თორმეტ აბაზამდის ფასობს.

სოფელ რუისპირშიაც, როგორც სხვა სოფლებში, წარსულის წლის პირველ იანვრიდგან გადასახადის ახალი წესი შემოიღეს, რომლითაც კომლეური გადასახადი, რასაც მარტო გლეხობა იხდიდა, გადაიტანეს ადგილ-მამულების გადასახადზე. ამ სისტემის ასრულებაში მოსაყვანად სოფელმა რუისპირმა ამოირჩია ხუთი კაცი, რომელთაც უნდა დაეზომათ ყველა ამ სოფელში მცხოვრებ გლეხების ადგილ-მამულები, და იმისდა გვარად გაეწერათ გადასახადი ფული. მთელი სოფლის საზოგადოება მიენდო ამ ხუთ კაცს და იმედიც ჰქონდა, რომ ყველას მიუკერძოებლად სწორე ხვედრს ხარჯს გადაახდევინებდნენ ადგილ-მამულებზე. თურმე ნუ ბძანებთ ამორჩეულ კაცებზე მინდობამ კარგი საქმე ვერ დაჰმართა და ვისაც ორი-სამი დესეტინა გამოუვიდოდა, ვენახი და სახნავ სათესი მიწები, ოთხი და ხუთი დესეტინა ადგილი გამოუყვანეს, და ამ ზომის ადგი-

---

დიდი მადლი იქნება, ტფილისის გაზეთებსაც რომ თავისი შესტაკოვი გამოუჩნდეთ!..

ბ-ნი შესტაკოვი, მოგეხსენებათ, ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელია.

ჰო-და, აი, ამ ბ-ნს შესტაკოვს საკვირველი ნიჭი ჰქონია სტატისტიკოსისა.

მან ამ დამდეგს წელს დიდის ნიჭით გამოიანგარიშა, რომ თითო ჭიქა ჩაი 1,3 კაპ. ჯდებაო, და ამ ახალის „ნიჭის“ გამოჩენისათვის მეფელეტონეთა საბილო და გასაწეწ-გამოსაწეწი შეიქმნა.

ვინც რა უნდა დასცინოს, მე-კი სიამოვნებით წავიკითხე მისი სტატისტიკური ცნობები საწერ მასალის ხარჯვის შესახებ.

წარმოიდგინეთ, ჩვენს კურთხეულს ქალაქის გამგეობაში 11 მოხელეს ექვსის თვის განმავლობაში დაუხარჯავს 25 კალმის დანა, 360 ყარანდაში, 19 კოლოფი კალამი, 16 ოზმა ქაღალდი და 11 დასტა ფოსტის ქაღალდი და სხ.

ეს ანგარიში მეტად საგულისხმიეროა!..

იგი ცხად-ჰყოფს, რამდენი საწერი მასალა დახარჯულა თუნდაც გამგეობის მოხელე ქალთა და კაცთა სამიჯნურო მიწერ-მოწერისათვის.

თითო მოხელეს ექვს თვეში $2^{3}/_{11}$ დანა დაუხარჯავს (?) და თითქმის 33 ყარანდაში!..

ამ ექვს თვეს მარტო ყარანდაშების გათლის მეტი რომ არა ეკეთებინათ-რა, მაშინაც არ დაიხარჯებოდა ამდენი ყარანდაში და დანა!..

ვინ ამბობს, სამიჯნურო წერილების წერა კარგია, წერაში გაავარჯიშებს ადამიანს, მაგრამ ქალაქის მკვიდრთა ხარჯით-კი... ნურაფერს უკაცრავად...

ოჰ, რატომ ერთი შესტაკოვისთანა სტატისტიკოსი არ გამოუჩნდება ჩვენს გაზეთებს!..

ეს ახალი შესტაკოვი თითოეულად გამოუთვლიდა ჩვენს „წყალ-ნარევს“ და „დას-მიმართულებათა შემქმნელს“ პუბლიცისტებს, რამდენი ქაღალდი შეალიეს, მაგალითებრ, 1901 წელს უბრალოდ სიტყვათა ნაყვას და მოკლე სიტყვის გრძლად თქმას.

მართლაც, წარმოიდგინე, მკითხველო, შენი მდგომარეობა, როდესაც შვიდის ნაბდის გაშლაზედ უფრო „გაშლილსა“ და გაჭიანურებულს წერილს კითხულობ, მისდევ და მისდევ ავტორის უნიადაგო და თავისათვისაც ჯერ გამოურკვეველ აზრთა რკვევის ნახტომებს და ბოლოს ასეთს დამამთავრებელს, ფილოსოფიურის რიხით წარმოთქმულს დასკვნას წააწყდები: „ვინც ოთახში შევა, იგი თუ აღარ გამოვიდა, შესვლას ვეღარ შეიძლებსო!!·

ასეთი „მტკნარი ფილოსოფოსი“ ნება უნებურად წამოგაძახებინებს: შე კაი კაცო თუ მაგის მეტი აღარა გქონდა-რა სათქმელი, ამდენს ხანს რაღად მაწუხებდიო?!...

ასეთი საქმე დამმართა სწორედ ჩვენმა „ექვსის თვის“ პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ.

წავიკითხე მისი „ოთხი“ წერილი „ცოდვის ფურცელში“, ვიკითხე ოთხს დღეს პრტყელი და გრძელი „ეკონომიური განკერძოება და ეროვნული გაერთიანება“ და „საბოლოოდ“ აი რა მოვისმინე:

> „ეროვნულად გაერთიანებული ჩვენი კლასები და წოდებები იმ დრომდე არიან და იქმნებიან, სანამ ყველა კლასებს და წოდებებს რაიმე საერთო ექმნებათ“... *)

მაშასადამე?...

მაშასადამე ის, რომ როდესაც „რაიმე საერთო“ არ ექმნებათ, მაშინ „ჩვენი კლასები და წოდებები“ ეროვნულად გაერთიანებული აღარ იქმნებიან, ხოლო ვინაიდგან, ვიტყვით ჩვენ, „რაიმე საერთო“ არასოდეს, დიაღ, არასოდეს არ გამოილევა, ვიდრე „კლასები და წოდებები“ ჰგიებენ, მაშასადამე „ეროვნულად გაერთიანებულნიც“ ყოველთვის იქმნებიან!..

აბა შეუდარეთ ეს ჩემს „შესული, თუ არ გამოვიდა, შესვლა აღარ შეუძლიანო“-ს, თუ ერთი და იგივე არ იყოს!..

ოთხს დღეს მაკითხა ამ დალოცვილმა „ექვსის თვის პუბლიცისტმა“ თავისი „უხარშელა“ წერილი და მაინც ორჯელ ორი—ოთხია-ს იქით ვერ ისკუპა.

ნეტა, ეს „ქართველნი „მწერალნი“ ქართულად წერას მაინც შეისწავლიდნენ, თორემ „აზრთა სიმახინჯეს“ მახინჯი ქართული წინ უძღვის და ეს უფრო ულონებს ადამიანს გულსა და გონებას.

წაიკითხეთ თუნდა იგივ არჩილ ჯორჯაძის „განკერძოება და გაერთიანება“ და დარწმუნდებით, რომ ამ გაზეთის თანამშრომლებმა ვერ იქნა და ვერა, ქართულს ენას ალღო ვერ აუღეს და ძველი უქართულობა ვერ მოიშორეს!..

თუნდა იგივე ჩვენ მიერ ამოწერილი წინადადება გავიხსენოთ:

> „ეროვნულად გაერთიანებული ჩვენი კლასები და წოდებები იმ დრომდე არიან და იქმნებიან, სანამ ყველა კლასებს და წოდებებს რაიმე საერთო ექმნებათ“.

აბა დაუკვირდით ამ „ქართულ სიტყვათა“, არა-ქართულს შენობას და დარწმუნდებით, რომ დამწერი, თავისის ჩივილისა არ იყოს, იმას არ ამბობს, რის თქმაც უნდა.

თუ „იმ დრომდე არიან და იქმნებიან“, სანამ „რაიმე საერთო ექმნებათ“, ამითი ბ-ნი ჯორჯაძე ხომ იმას გვეუბნება, რომ შემდეგ აღარ „იქმნებიანო“, ესე იგი მოისპობიანო.

ასეთს აზრს გამოიტანს ყველა მისი ქართველი მკითხველი, საბრალო პუბლიცისტსკი აი, რის თქმა ჰსურს:

> „ჩვენი კლასები და წოდებები იმ დრომდე არიან და იქმნებიან ეროვნულად გაერთიანებულნი, სანამ ყველა კლასებს და წოდებებს რაიმე საერთო ექმნებათო“.

სურვილი თქმისა ერთია, თქმული მეორე.

ჩაათვალიერეთ და იმავე წერილში მრავლად შევხვდებათ უხამსი „ბები“, „კითხვა იბადებაო“ (ნეტა ნათლობა იმ „კითხვისა“ როდის ექმნებათ?) „ცხოვრების პროცესსი ტკივილის ფასით იყიდებაო“ და სხვა ამ-გვარი ყოვლად გაუგებარი და უცხო ენის გავლენით დამახინჯებული „ქართული“.

ასე სწერენ „ცოდვის ფურცლის“ მექართულენი ახალ ამბავსაც, საფელეტონო წერილებსაც, მეთაურსაც, და ვერც ჩვენმა სამართლიანმა კიჟინმა, ვერც მკითხველთა განუწყვეტელმა დრტვინვამ ამ გაზეთს პირჯვარი ვერ დააწერინა.

ჯერ ისევ შარშან ვურჩიეთ ამ გაზეთის რედაქციას თავისი თანამშრომლები სათავად-აზნაურო სასწავლებელში მიებარებინა ქართულის ენის სასწავლებლად.

ეს რჩევა არ შეისმინეს.

ეხლა იმავე „ეროვნულ გაერთიანებისა“ და სიკეთის სახელით, რომელსაც ეს გაზეთი ასე უცნაურად ემსახურება,—ვთხოვთ მიიწვიოს ქართულის მცოდნე ვინმე და, ვიდრე თავისს თანამშრომელთა „ნაშრომს“ მკითხველებს გაუზიარებდეს, შალაშინი გააკვრევინოს.

ნუ ამახინჯებს ესოდენ მდიდარს ენას, ენას, რომლის „წარხდენა“ „ერს დაცემას“ უქადის!..

თუ შეძლება ხელს არ უწყობს, განა არა სჯობია არავისათვის გამოსადეგ დამახინჯებულ სურათების, ესრედ წოდებულ კარრიკატურების ბეჭდვას, დაუმახინჯებელის, წმინდა ქართულით დაუტკბოს სმენა თავისს მკითხველებს?!..

გაიაფება „დამახინჯებამდე“ და „გადამპლებამდე“ არ უნდა იყოს მიღწეული!..

იაფი მაშინ არის ჭეშმარიტად სახარბიელო, როდესაც კარგიც არის, ხოლო თუ სიკარგეს უკლო, რომ ბაზარის მოსაპოვებლად საქონელი გააიაფოთო, ის იაფი ხშირად ძვირზედ უფრო ძვირი ხდება. ეს ისე აშკარაა და ნათელი, რომ „ცოდვის ფურცლის“ ეკონომისთა კვლევა-ძიებაც-კი არა სჭირია...

იმედია, ეს რედაქცია „ეხლა მაინც შეისმენს...

„შეისმენსო“?!!.

„ნეტარ არიან მორწმუნენი“ და მე-კი დღეს ორი დანაშაული მიმიძღვის ჩემის მკითხველების წინაშე.

ჯერ ერთი, ჩემს „წკაპურტს“ „თხოვნა“ დავურთე; მეორე,—კედელს ცერცვი შევაყარე იმ იმედით, რომ ზედ შერჩება-მეთქი.

„ცოდვის ფურცელს“ რომ თავისს ცოდვათა დანახვა, შესმენა და შეგნება შეეძლოს, ამ უნარს აქამდე გამოიჩენდა, წარსულში დაგვანახვებდა.

წარსული-კი რომ გავიხსენოთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ „ნორჩს“ გაზეთს, ენის სიმახინჯეს ვინა სჩივის, აზრთა სიმახინჯე და შეუსმენელ-გაუგებლობაცა სჩვევია.

აი, ამისი ერთი ბრწყინვალე მაგალითი:

ამ გაზეთმა წარსულის წლის 21 ოქტომბრის „დამატება“-ში დაბეჭდა ერთის ჩვენის საზოგადო მოღვაწის სურათი, რომელსაც წინ ოთხი ქალიშვილი დაუყენა, ჯიბეებში სათამაშო ქაღალდი ჩაუწყო და ეს ოთხ-სტრიქონიანი ლექსისებური სიტყვები ათქმევინა:

„ყველა მწვავს და ყველა მდაგავს,
ხან ერთს ვეტრფი, ხან მეორეს...
სხვა დღება რას მაქვიან,
თუ თქვენს თავს არ მომაშორებს“-ო.

ეს ყოვლად მსგავსი სურათი „მოღვაწისა“ ამ სახით მაშინ დაჰბეჭდა ამ „მიმართულების მძებნელმა“ გაზეთმა, როდესაც საზოგადოებაში ხმა დადიოდა, რომ ის მოღვაწე ამა-და-ამ თანამდებობაზედ კენჭის ყრას აპირებსო.

ასეთის სურათით გაზეთმა დაანახვა ამ მოღვაწის“ ამომრჩევლებს, რომ ეგ კანდიდატად დასახელებული კაცი ქაღალდის თამაშობისა და ქალებთან არშიყობის მეტს არას აკეთებს და არც არას გააკეთებსო.

„ივერია“-მ ეს უკუღმართი ნახტომი და კერძო ცხოვრებაში შეტოპვა უკიჟინა „უპროგრამო“ გაზეთს, ასმინა, ამხილა, არცხვინა, მაგრამ...

მაგარი ის არის, რომ დანაშაულის აღიარება „ცოდვის ფურცელს“ კონდაკში არ უწერია.

„ცოდვის ფურცელი“ გამოეხმაურა წარსულის წლის მიწურულში, 29 დეკემბერს, ამ

---

*) იხ. «ცნ. ფურც.» 11 იანვრისა.

ბის ხარჯი გადაახდევინეს, ზოგის მამულებს ისე თვალ და თვალ შეაწერდნენ ხოლმე ხარჯს.

ვისაც არა ჰქონდა ხელ-და-ხელ მისაცემი ფული, თავ-პირს ამტვრევდნენ, გამოჰქონდათ სახლებიდან უკანასკნელი დაფლეთილ-დაკონკებული ლოგინი და ქვაბები, მიჰქონდათ იქვე დუქანში და აკარგვებდნენ სულ მცირე ფასად. ამ ამორჩეულმა ყაყ-ბატონებმა ზედ მეტის გაწერილის ფულით თავიანთ ადგილ-მამულების ხვედრი ფულიც გადაიხადეს და ყოველ დღე ქეიფიც არ აკლდათ დუქანში.

კარგს იზამდა თელავის მაზრის მართველობა, რომ ადგილ-მამულების გაზომვა გლეხებისათვის არ მიენდო, რადგან სოფელში არ დააკლდება ძმის მოსისხლ-მოქიშე ყაყ-ბატონები, და ამის მაგივრად გლეხებისავე ხარჯზედ გაგზავნიდა ყველა სოფელში მცოდნე მოხელე ადგილ-მამულების დასაზომად, რომ შემდეგშიაც ისე არ შეწუხებულიყვნენ გლეხები მამულების გადასახადზე.

აქეთ ამინდები მშვენიერია, მხოლოდ ერთის კვირის წინ საშინელი ცივი ქარი ამოვარდა, რამაც, თუ რამ სისველე ჰქონდა ჯეჯილებს და ხეხილებს, ამოაშრო. თოვლით გადათეთრებული მინდვრები წელს ჯერ აქეთ არავის უნახავს. თუ ასეთმა ამინდებმა დიდხანს გასტანა, მოსავალი შარშანდელზე უფრო უკუღმა აბრუნებს პირს. სხვაფრივ, აქეთ მშვიდობიანობაა: ავაზაკობის ხმა ჯერ [illegible] არავის სახლში ისმის.

გოტე სეხნიაშვილი

ნარკვევი.

ძლიერ ცუდს გუნებაზედ დაუყენებია წარსულ წელს გაზეთი — „Москов. Вѣд.“-ი.

წარსული 1901 წ. შესამჩნევს ადგილს დაიჭერს რუსეთის ისტორიაში, ამბობს გაზეთი.

მაგრამ იგი იქნება შესანიშნავი არა რაიმე დიდის შემთხვევისა გამო, არამედ იმ წვრილმანის ამბებით, რომლებმაც ხელ-ახლა თვალ-წინ დაუყენეს რუსეთს გადასაწყვეტად საჭირ-ბოროტო საგანი: რა მიმართულებას უნდა დაადგეს სახელმწიფო?.. თვით მეხამოცე წლებშიაც-კი „აზრის თავისუფლობის“ თრგვის დროს, არ მიუღწევია რუსეთის საზოგადოებას აზრის ამგვარ თვითნებობამდე; მით უმეტეს, რომ მაშინ ეს თვითნებობა ტრიალებდა მხოლოდ სატახტო ქალაქების „ლიბერალურს ინტელიგენციაში“; დღეს-კი იგი მთელის რუსეთის ყველა წრეს მოედვა.

აი, ამიტომ არის წარსული წელი შესანიშნავი, რომ წარმოადგენს მეორე ცდას ,,ლიბერალურ საზოგადოების აზრისას‘‘. ხელახლა დააყენოს რუსეთი გზა-ჯვარედინზე და ეჭვი დაუბადოს ალექსანდრე III ს სისტემის შესახებ, რომელიც მთავრობას მიაჩნია საუკეთესო და სასარგებლო პოლიტიკად რუსეთისათვის.

საით წავა რუსეთი?

გადაუხვევს იგი იმ პირდაპირ ერთეწყლს გზას, რომლითაც მიდიოდა ამ ოცის წლის განმავლობაში?

ლიბერალები, რომელთაც იმედი აქვთ თავიანთ სიმრავლისა და გამანადგურებელ მოძღვრების დიდად გავრცელებისა, ამბობენ დიაღ, უნდა გადაუხვიოსო. ჩვენ-კი ღრმად გვწამს-რა მაღალი ღმერთი და სრულს იმედს ვამყარებთ-რა ხელმწიფეზედ, ვამბობთ: არა, არ უნდა გადაუხვიოს.

რუსეთი

საერო განათლების დეპარტამენტმა განმარტა, რომ საეპარქიო დედათა სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ უფლება აქვთ შევიდნენ აფთიაქის შეგირდებად, მხოლოდ უნდა დაიჭირონ ეგზამენი ლათინურს ენაში.

— გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს შეამციროს რკინის გზებზე ბარგის გადასატანი ფასი.

— მთავრობას განზრახვა აქვს აღკრძალოს მცირე-წლოვანთა სათეატრო და საცირკო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება.

— პეტერბურგის ჟურნალისტებს მოლაპარაკება აქვთ თავიანთ მოსკოველ ამხანაგებთან, რომ იდღესასწაულონ რუსულის ჟურნალ-გაზეთების 200 წლის არსებობის იუბილე.

უცხოეთი

სამხრეთ-აფრიკის ომი. „West. Gazette“-ში დაბეჭდილია წერილი ერთის იომანრისა. ეს წერილი უარ-ჰყოფს ინგლისის მთავრობის სიტყვებს: როგორც ვუწყით, მთავრობა ამბობდა, რომ ეხლა ჩვენი ჯარი ფერმებს აღარ სწვავს და ყანებს არ ანადგურებს სამხრე აფრიკაში. აი იომანრი რას იწერება თურმე: „პირველ თვეს თითქმის ბრძოლა არა გვქონია, რადგანაც მეტუენმა (იომანრი მეტუენის რაზმში მსახურებდა) მიწასთან გაასწორა ნაყოფიერი ოლქი. გავანადგურეთ ყოველი ფერმა, რომელიც-კი გზაში შეგვხვდა. ვანადგურებდით ნათესობას, ბაღებში ხეებსა ვჩეხავდით, საქონელს ვერეკებოდით, ცეცხლს ვუკიდებდით ყველა იმას, რაც ფერმებში ავეჯი და ნივთები იყო. ჩვენს მიახლოვებისას ბურები ფერმებს თავს ანებებდნენ. იქნება გეუცხოვოთ ასეთი სისასტიკე, მაგრამ რა უნდა გვექნა, — კიტჩენერი გვიბრძანებდა და ჩვენც ვასრულებდით. ამბობენ, სხვა რიგად ომის დასრულება შეუძლებელიაო. მახსოვს ორ დღეში ხუთი ფერმა გავანადგურეთ. მერე, რა ფერმები! ბაღი მწიფე ფორთოხლებით, ატმებით, ჰერმებით და სხვა ხილით იყო სავსე. მთელი კვირა ჯარის-კაცები თითქმის ამ ხილით ვიკვებებოდით“. წერილის ავტორს ძალიან შესძულდა თურმე ამ ნაირი „სამსახური და სამშობლოსათვის ბრძოლა“. მინდა თავი დავანებო სამხრეთ-აფრიკასა და უკანვე ინგლისში დავბრუნდეო, იწერება თურმე ჯარის-კაცი.

— როგორც „Daily Telegraph“-ი გადმოგვცემს, ჰოლანდიის პირველ მინისტრისათვის მიუნდვიათ ზავის შესახებ ლაპარაკის ჩამოგდება. გაზეთის სიტყვით, ომი მალე დასრულდება.

ინგლისი. როგორც ვუწყით, ინგლისის მთავრობამ 10,000 თავისუფალ მეომარს მოუწოდა სამხრეთ-აფრიკაში გასაგზავნად. მთავრობა ამ მეომართ ჯილდოს გარდა ჯამაგირსაცა ჰპირდება დღეში 50 კაპეიკს. ამის გამო „Daily Expresse“ ამბობს, რომ საეჭვოა ამ პირობებით ვინმე დასთანხმდეს სამხრეთ-აფრიკაში წასვლას, რადგანაც იქ სურსათი მეტად ძვირია. ამას გარდა ჯარის-კაცნი უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ ყველას ერთნაირი ჯამაგირი არა აქვს. ამ მიზეზის წყალობით მეტად ცოტაა სამხრეთ აფრიკაში თავისუფალ მეომრად წამსვლელთა რიცხვი. მთავრობა, გაზეთის სიტყვით, გაჭირვებულ მდგომარეობაშია. იმაზედ მეტი ჯამაგირი რომ დაუნიშნოს, რაც ეხლა მეომართა აქვთ, შეუძლებელია: ეხლანდელი ჯარის-კაცნი უეჭველად აჯანყდებიან. მთელის ჯარისათვის ჯამაგირის მომატება-კი, ამდენის ხარჯის შემდეგ, მთავრობას არ ძალ-უძს.

— ჩემბერლენმა, როგორც ვუწყით, თავის სიტყვაში კარგად ვერ მოიხსენია გერმანელნი და გერმანიის ჯარი. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია მთელს გერმანიაში. ეხლა, როგორც ეტყობა, ინგლისელნი სწუხან ასეთს შფოთის ჩამოგდებას მათსა და გერმანელებს შორის, შერიგებას სცდილობენ და გერმანელთა მიმართ ტკბილ სიტყვებს არ იშურებენ. აი რასა სწერს ინგლისური გაზეთი „Morning Post.“-ი: ,,ინგლისი მზადაა გულწრფელი განწყობილება იქონიოს ნათესავ (?) გერმანიასთან, რომლის ღირსებებს ყოველთვის ვაფასებდით და პატივსა ვცემდითო‘‘.

— მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამას წინად სენ-ჯემსის დარბაზში ლონდონის სალიბერალო დასს კრება ჰქონდა. ამ კრებაზედ უნდა გამორკვეულიყო საყურადღებო საქმე—ვინ იქმნება სალიბერალო დასის მეთაური: კემპბელ-ბანერმანი, დღევანდელ ლიდერი, თუ ლორდი როზბერი, ხელახლად საპოლიტიკო ასპარეზზედ გამოსული. როზბერი კრებაზედ არ გამოცხადდა; წერილი გაგზავნა და ბოდიში მოიხადა, ვერ მოვალო. ამ წერილის კითხვის დროს გამოირკვა, რომ ლიბერალები არ ენდობიან როზბერის: იმის გვარის წარმოთქმის დროსაც-კი სტვენა და დაუსრულებელი ყვირილი ასტეხეს.

შეერთებული შტატები. წარსულ წელს ამერიკაში დაწესდა სენატორის განნას თავმჯდომარეობით კერძო სამედიატორო სასამართლო, რომელსაც დაევალა მუშათა და ქარხნის პატრონთა შორის ჩამოვარდნილ დავების განხილვა. ამ სასამართლომ უკვე მოიტანა საკეთილო ნაყოფი. ნიუ-იორკში ამას წინად 40 ათასი თერძი აპირებდა მუშაობის აღკვეთას. თერძნი სამუშაო საათების შემცირებას თხოულობდნენ—ცხრა საათის ნაცვლად რვა საათს. სასამართლოს წყალობით საქმე მორიგეობით გათავდა. სახელოსნოს პატრონთაც და თერძებმაც თანხმობა განაცხადეს, რომ დღეში $8^1/_2$ საათის მუშაობა იყოს ხოლმე.

კახელ მევენახეთა საზოგადოების წლიური კრება.

თელავი.

(შემდეგი *)

7-ს იანვარს, დილის 10 საათზედ, კრება დაიწყო. გამგეობის თავმჯდომარემ გაცნო კრებას სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის რაოდენობას. კრებამ მიაქცია ყურადღება გამგეობის წევრთა ჯამაგირების რაოდენობას და გაიკვირვა, რომ საზოგადოების გამგეობის სამს წევრს მიეცა წარსულს წელს 3900 მან., მაშინ როდესაც მარტო ბაქოს განყოფილების გამგებელს ჰრგებია 4188 მან. 57 კაპ. თუმცა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში ბაქოს განყოფილების გამგებლისათვის დაუკლიათ ჯამაგირი, ახლა 2000 მან. აღნიშნული, მაგრამ კრებამ მაინც იცოტავა გამგეობის წევრთა ჯამაგირი 3900 მან. ყველამ გამოსთქვა სურვილი გამგეობის წევრთა ჯამაგირების მომატებისა, ხოლო ეს სურვილი სხვა-და-სხვა რაოდენობით გამოსთქვეს, ვერ შეთანხმდნენ და აირჩიეს კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ: ბ-ნი კახიძე, ბ-ნი ვერმიშევი, ბ-ნი კოდელიშვილი, თავ. აბაშიძე, თავ. ერისთავი, თავ. მაყაშვილი, თავ. ჯანდიერი, თავ. დიმ. მაყაშვილი, თავ. მ. ჩოლოყაშვილი. ამათ მიენდოთ საზოგადოების გამგეობის წევრთა ღვინის ოსტატისა და მოჯამაგირისა და სხვა მოსამსახურეთა ჯამაგირების რაოდენობის აღნიშვნა შესაფერად საზოგადოების მოგებისა. კომისიას დაევალა სადამოზედ შეკრებილიყო და წარმოედგინა თავისი მოსაზრება მეორე დღეს.

შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი სარევიზიო კომისიის მოქმედებაზედ. გამოითქვა აზრი, რომ კომისიას ჯეროვნად არ უშრომნია. გამგეობის თავმჯდომარემ თავისს საპასუხო სიტყვაში საჩინო საბუთებით დაანახვა კრებას, რომ სარევიზიო კომისიის მოქმედება არის საფუძვლიანიც და ნაყოფიერიც. თუ კრებას სურვილი აქვს, რომ კომისიამ ვრცელი მოხსენებანი უგზავნოს კრებას, ამ სურვილის მისაწევად უნდა სთხოვოს სარევიზიო კომისიას, რომ მან ეს ზედ მეტი შრომა იკისროს. კრებამ, თანახმად ამისა, დაადგინა, მიჰმართოს კომისიას და სთხოვოს უფრო ვრცელი მოხსენებანი შეადგინოს ხოლმე.

გამგეობის თავმჯდომარემ წაიკითხა პროექტი ახალის წეს-რიგით ღვინის დაფასების თაობაზედ. საზოგადო ხასიათი ამ ახალის წეს-რიგისა არის „ბრმად დაფასება ღვინისა“. კახეთი იყოფება ოთხ ნაწილად, იმისდა მიხედვით, სად როდის მწიფდება ღვინო. დამფასებელთ არ ეცოდინებათ, ვისია ღვინო, ხოლო ნათქვამი იქნება, კახეთის რომელ ნაწილისაა. როცა ქვევრებიდამ ნიმუშს, სამინჯ ღვინოს ამოიღებს გამგეობისაგან დანიშნული კაცი. ერთ ნაირ ღვინოებისას ერთს [illegible] დებს, ხოლო თუ რომელსამე ქვევრში ღვინოს განსხვავებული გემო ექნება, იმას ცალკე ამოიღებს. ყველა ნიმუში იქმნება დაბეჭდილი საზოგადოების ბეჭდით, აგრეთვე ქვევრები: თუ მოისურვებს, ამხანაგიც თავისს ბეჭედს დაასვამს. ნიმუშებს ექმნებათ წარწერა, ვისი არის ღვინო, როდის არის ამოღებული, რაიდენ ქვევრშია და რამდენი ვედროა. გამგეობა მოიწვევს დამფასებლებს დააფასებინებს, იმის გამოუცხადებლად, თუ ვისია ღვინო; მერე თვით გამგეობა გადაჰშინჯავს დამფასებლებისაგან დადებულ ფასებს და მაზანდის მიხედვით ან მოუმატებს, ან მოუკლებს საყოველთაოდ, ე. ი. მოუკლებს, თუ მოუმატებს ყველას ერთ ნაირად, ერთსა და იმავე ფასს ან მოუმატებს, ან მოუკლებს.

კრებამ სადღეისოდ შეიწყნარა ახალი წესრიგი ღვინის დაფასებისა ორის წლის ვადით. კრება გადიდო 8 იანვრისათვის.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ივერია“ № 10.

ზანგი ხიხო

(ვუძღვნი მგზავრს).

ეხლა ბულბული დასჩხავის მძოვრსა
და ვარდსა დაჰსტვენს ტკბილ ჰანგებს ყვავი.

მივუახლოვდი დიდ ვანქის ქუჩას. უცბად რაღაცა ჟივილ-ხივილი მომესმა. გავიხედე—ბრბო ქუჩის ბიჭებისა უკან მოსდევდა ვიღაც უცნაურად ჩაცმულ სულიერს: „ზანგი მოდის, ზანგიო!“—ყვიროდა ბრბო, თანაც ჰომერიულად ხარხარებდა. უცნაურად ჩაცმულმა გვერდზე ჩამიარა, თვალი ამარიდა, მაგრამ მე გზა გადავუჭერ.

— ბიჭოს! ხიხო, შენა ხარ? ეს... ეს რა ამბავია? ეს ჭრელი ხალათი, ეს ჩხარუნ-ღლარუნები, ეს უცნაური მრავალფეროვანი ჩაჩი?“.

— გიკვირს? ვაი, ტკბილო მეგობარო, რა გულ-უბრყვილო ყოფილხარ! მე ვარ იუმორის სიმბოლო! ეს ობიექტიური ტანისამოსია სუბიექტიური კრიტიკოსისა, ობიექტიურ ნიადაგზე, კომიკურ გემოვნებაზე, იდეალურ...

— მოიცა, მოიცა! სული მოიბრუნე! თუ ღმერთი გწამს, თავი დაანებე ამ ღრმა სიტყვების რახა-რუხს. მარტივად ამიხსენ—რას ნიშნავს ეს სამასხრო ჩაჩი? ცირკში ხომ არ შეხველ მასხარად?

— ჯერ არა! ვაპირებ-კი... ეხლა მე „ცნობის ფურცლის“. რედაქციის გამგეობის უთავო მეთავის ოხუნჯობის ნაყოფის...

— თუ ღმერთი გწამს, გაათავე! მარტივად, ქრისტიანულად ილაპარაკე!

— Д-ракъ! მოდი და ელაპარაკე ამისთანა ხეპრეს! აჰა, დოშექმანდურად გეტყვი: მე ვაპირებ ცირკში შესვლას და ეხლა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გამგეობის უთავო მეთავის...

— კიდევ!

— იცი-რა? მოდი ალექსანდრეს ბაღში შე-

ბილებას და თავის მართლებას მოჰყვა.

ამისათვის მან ვიღაც უსახელო და უჩინარი ვექილიც მოიწვია, რომელმაც ბრალდებულის გასამართლებელს „სიტყვას“ წკიპურტი უწოდა და ისე დავთარ-დაბნევით მოჰყვა ალოგო-ალაგიანს რახუნს, რომ სწორედ დაიმსახურა თავისი წკიპურტიც და ჩვენიც.

ამ ვექილის სიტყვით, თურმე „ივერიას“ ვიწრო შეხედულობა ჰქონია კარრიკატურაზედ“... (თუმცა ეს ვიწრო შეხედულობა კარრიკატურაზე“ რუსულიდგან ყურით არის გადმოთრეული, მაგრამ ვთხოვ მკითხველებს ამ ხელად უქართულობას ყურადღებას ნუ მიაქცევს და აზრს დაუკვირდეს).

ცრუ-ვექილი იმითი იწყებს თავისს სავექილო სიტყვას, რომ გვასწავლის:

„კარრიკატურას საზღვარ-გარედ, მეტადრე ინგლისში (,) ფართო და [illegible] ადგილი უჭირავს სატირულ მწერლობაში და დიდი თავისუფლება აქვს მინიჭებულიო“...

ჯერ ამის პასუხად ვექილს მოვახსენებთ, რომ სრულს ჭეშმარიტებასა ჰბრძანებს. დიაღ, კარრიკატურას „დიდი თავისუფლება აქვს მინიჭებული“ საზღვარ-გარეთ, მეტადრე ამერიკაში, სადაც „ყვითელის პრესსის“ სახელით აგლიჯინობს იგი უგზო-უკვლოდ და უბოდიშოდ. ვიცით ისიც, რომ ის „ყვითელი პრესსა“ ხშირად მასალას ისეთს ადგილებში აგებს, რომლებსაც მართებული ადამიანი სხვათა წინაშე არც-კი ახსენებს ხოლმე. თუ ამგვარ „კარრიკატურის“ გამოხერგვას აპირებს ჩვენში „ცოდვის ფურცელი“, დაგვიდოცნია მისთვის „დიდი თავისუფლება“...

მაგრამ ამითი არა სცხრება „განიერ-შეხედულების მქონე“ გაზეთის ვექილი.

იგი გაოცებით კითხულობს:

„რასაკვირველია, კარრიკატურა ან პირს უნდა შეეხებოდეს (,) ან საზოგადო და პოლიტიკურ მოვლენას. გერმანიაში ხშირად სურათს [illegible] აწერენ, რომ, ვინც სურათით ვერ იცნობს, გაიგოს ვინ არის აღნიშნული კარრიკატურაში. უამისოდ კარრიკატურა ჰკარგავს თავის(ს) დანიშნულებას.

ხომ გაიგონეთ?! აი სიტყვის „ბანზედ აგდება“ ამასა ჰქვიან.

თითქოს ჩვენ ის გვეკიჟინოს „ცოდვის ფურცლისათვის“, კარრიკატურა „პირს“ რად შეეხებაო, და არა ის, რომ ამ კარრიკატურით გაზეთმა ამ „პირის“ კერძო ცხოვრებას მოუპოტინა ხელი?!...

დიაღ, ბატონო ვექილო, მართებული კარრიკატურა შეიძლება „პირს შეეხებოდეს“, ხოლო ისე-კი, რომ ამ „პირის“ მიერ საზოგადო ასპარეზზედ გამოჩენილი უკუღმართობა იყოს კილო-გამობმული და კბილ-გაკრული, ხოლო „ქალებისა და ბანქოს ტრფიალი“-ს აღნიშვნა „სატირიული კარრიკატურა“-კი არა, „საპასკვილო“ კარრიკატურა გახლავთ.

ამას ბ-ნი ცრუ-ვექილიც გვეთანხმება და სწერს:

„არავის პირადი, კერძო ცხოვრება არავითარ ინტერესს არ შეადგენს არც ჩვენი რედაქციისათვის და არც ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის. მაგრამ, როდესაც ეს პირი საზოგადო ასპარეზზეა, ან მაზედ გამოსვლას აპირებს და როგორც საქმე, აგრეთვე პირიც ცნობილია საზოგადოებაში, კარრიკატურისტს სრული ზნეობრივი უფლება აქვს დახატოს **გარემოებას შესაფერი სურათი ამა თუ იმ აზრით**“.

დავეთანხმოთ საზოგადო აზრს და შევუდაროთ იგი კერძოდ იმ „პირის“ კარრიკატურას, —ეთანხმება თუ არა?..

თითონ ეს ბატონი ვექილი არა ჰბრძანებს, რომ „როგორც „საქმე“, აგრეთვე „პირიც“ ცნობილია საზოგადოებაშიო... მერე, გვიპასუხოს, იმ მოღვაწეს მაგ სურათზედ აღნიშნული „საქმეც“ — მრავალ ქალებთან არშიყობა და ბანქოს თამაშობა „ცნობილია“ საზოგადოებაში და ისე „სახელ-გაკეთებულია“, ვეკითხავთ თვით ამ „ქართულის“ გაზეთის ქარხანაში გაკეთებულ სიტყვით, — რომ ყველამ იცოდეს?

ჯერ ერთი, თუნდა „ცნობილიც“ იყოს ეს „საქმე“, რა საგაზეთო მასალაა, —ბანქოს ვინა თამაშობს და ქალებს ვინ ეარშიყება, და მეორეც, თუ ეგ „საქმე“ აგრე საზოგადოდ ცნობილია, მაშინ მისი დახატვა გაზეთში, „კარრიკატურა“-კი არა, ნამდვილი იქნება, რადგან „კარრიკატურა“ გახლავთ ადამიანის რომელისამე, უფრო დასაწუნ, ნამდვილ თვისების გაზვიადებით, სასაცილოდ და ყბად-აღებით აღნიშვნა.

მაშ რა გახდომია მიზეზათ იმ მოღვაწეს „ქალებისა და ბანქოს ტრფიალად“ დახატვასო?!. იკითხავს მკითხველი.

ბ-ნი ვექილი ხრიკაძე (თუ გვარით არ არის ასეთი, საქმით ხომ არის!) ამას არ აცხადებს, „ზოგიერთი გარემოება რომ არ გვაბრკოლებდეს (,) მიზეზსაც განგიმარტავდითო“.

მაშასადამე, „ამ „გარემოების შესაფერ სურათის მიზეზის განმარტებას“ „ზოგიერთი გარემოება“ აბრკოლებს თურმე (sic!)

ამას ამბობს რედაქცია ვექილის პირით და ჩვენდა გულის ხმასა შინა შთასაგდებადა და სასწავლებლად იქავე დასძენს, რომ „სურათს და მეტადრე კარიკატურას დაკვირვება უნდა და კარიკატურის გამომწვევ გარემოებათა ზედმიწევნით ცოდნაო“.

თუ ამ „გამომწვევ გარემოებათა ზედმიწევნით ცოდნა“ არა გვაქვს, მაშინ „გარემოების შესაფერ სურათს“ რედაქცია ვერ განმარტავს თურმე, რადგან „ზოგიერთი გარემოება“ აბრკოლებს.

აი, სიტყვების ნაძალადევად და უბრალო კორიანტელის ასაყენებლად არახრახება, თუ გინდათ, ეს გახლავთ!..

მერე რად აყენებს ამ კორიანტელს ამ „უპროგრამო გაზეთის“ რედაქცია, ან მისი ცრუ-ვექილი, თუ არ იმად, რომ თქმა მართლისა პირსა სწვავს და ვერ გაუბედნია.

საკვირველი ის არის, რომ თითქოს ამადლის კიდეც რედაქცია იმ „პირს“ ასე დასურათებას:

„სატირულ კარრიკატურას ყველას არ ადირსებენ“

„იმ კარრიკატურაში გამოყვანილ პირს გაცილებით თქვენზე მეტს პატივს სცემს რედაქცია და როდესაც სურათს ახატვინებდა (,) კარგად იცოდა (,) რას და რისთვის ახატვინებდა, ვისთვის და რა აზრით.

„ეს კარრიკატურა გარემოებამ გამოიწვია და საჭიროც იყო (გაიგონეთ!) იმ პატივცემულ პირის მეტის ღირსების დასაცავად“-ო(!!!)

ასეთის სიტყვების შემდეგ იმ „პატივცემულ პირს“ სხვა გზა აღარა დარჩენია-რა იმის მეტი, რომ საჯაროდ მადლობა გარდაუხადოს „ცოდვის ფურცლის“ რედაქციას, რადგან „ღირსა“ კარრიკატურა, დახატა იგი „ქალების მოტრფიალედ“, ჯიბეებში სათამაშო ქაღალდები ჩასჩარა და ამითი მისი „მეტი ღირსება დაიცვა“.

„Зарапортавался“-ო, რომ იტყვიან რუსები, ეს არის!..

ნახტომის შეშლაც ამასა ჰქვიან!

მაგრამ ამას არა ჰკმარობს ეს „ივერიის“ გადიდებისა გამო სიბრაზით დალეული გაზეთი, რა-კი ერთხელ ლოგიკის ყინულზედ ფეხი გაუსხლტა და ნახტომი შეეშალა, თავი ვეღარ დაუჭერია და დაქანებული მიდის და უგზო-უკვლოდ მისრიალებს.

ყოველს თვის მიერ თქმულსა და ამ წერილში ჩვენ მიერ გაკვრით აღნიშნულ ლოგიკის წაჯეჯ-უკუჯეჯობას გაზეთი ასეთს ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტს დაურთავს:

„იმ კარრიკატურას დიდის თვალით თუ არ შეხედავთ, და კარგად დააკვირდებით, დაინახავთ, რომ დახატული ქალები არ გახლავან. აბა გამოცდილს მხატვარსა ჰკითხეთო?...

ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, ყველაფერს წარმოვიდგენდით, ხოლო ასეთი ცრუ ვექილური „აბრუნდი“-კი ძნელად საფიქრებელი და ყოვლად მოულოდნელი იყო.

თურმე იმ „კარრიკატურას“ რომ „პატარა თვალებით“ შევხედოთ, დავინახავთ, რომ „დახატული ქალები არ გახლავან!“

ეს რას ჰნიშნავს, ხუმრობს რედაქცია, ვითომ-და დახატული-კი არ არიან, დასტამბული არიანო, თუ მკითხველთან უნდა პირი გაგვიშავოს,—ქალებს ახსენებთ და ამ სურათში-კი ქალები არა ყოფილანო?

ვიღებთ კვლავ „ცოდვის ფურცლის“ 21 ოქტომბრის დამატებას და აგერ ის მოღვაწე და მასთან დახატული ოთხი ქალი... მაშ, ესენი ქალები „არ გახლავან“?!.

ახირებულია, თქვენმა მზემ!..

არა, „ქალები არ გახლავანო“, დაუჟინია „ცოდვის ფურცელს“: თუ არა გჯერათ, „გამოცდილ მხატვარსა ჰკითხეთო“?!.

აბა, „მარგალიტი“ ეს არის, აი!..

თუმცა „კარრიკატურაში“ ქალები სჩანან, მაგრამ თურმე ქალები „არ გახლავან“ და ამას-კი უბრალო სიკვდილის შვილი ვერ გაიგებს, ვერც გამოუცდელი მხატვარი მიჰხვდება, მარტო გამოცდილს მხატვარს ძალ-უძს ამ ოთხის ქალის სახით რაღაც „სხვა რამის“ ცნობა.

ეტყობა, „ცოდვის ფურცლის“ რედაქციას ყოველ თავისის ხელის-მომწერლისათვის ამ „დამატებასთან“ ერთად თითო „გამოცდილი მხატვარი“ გაუგზავნია დამატებად, რათა მან განუმარტოს და აუხსნას მკითხველს, რომ „ქალები არ გახლავან“... ასე იქნება, თორემ იმას ხომ ვერავინ იტყვის, რომ ამ „უპროგრამო გაზეთს“ ხელის-მომწერლებად სულ „გამოცდილი მხატვრები“ ჰყავსო!..

ჩვენ ნომერთან „დამატების“ დამატება — „გამოცდილი მხატვარი“ არ მიგვიღია და კიდეც ამიტომ ვერას მივხვდით.

იქნება თვით რედაქციამ ეხლა მაინც აგვიხსნას, რანი არიან ეს შეჩვენებულნი, ქალის სახით დახატულნი არსებანი, თუ „ქალები არ გახლავან“?!.

მაგრამ უკაცრავად, დაგვავიწყდა, რომ ამ „გარემოებათა ზედ-მიწევნით მცოდნე‘‘ რედაქციას ,,ზოგიერთი გარემოება აბრკოლებს‘‘ და ამიტომ ვერ აგვიხსნის გარემოებას ამ „გარემოების შესაფერ“ სურათისას?!..

მაშ თუ ვერ აგვიხსნიდა და ვერც „გამოცდილ მხატვრის“ მეტი ვერავინ გაიგებდა, ეს "წყალი რაღად აამღვრია" ამ პროგრამა-დაბნეულმა რედაქციამ?!..

ხორხა

ვუხსნით და იქ აგიხსნი ყველაფერს. აქ-კი, ხალხის წინაშე, მე იმდენად არ დავიმდაბლებ თავს, რომ მარტივის, ადვილ-გასაგებ ენით გელაპარაკო. მე ხალხისთვის ვარ ინტელექტური ძალა ინერტიულ მასსაში, ინტენსიური აზრების პატრონი, ნაჭერი ღვთაებრივობისა, თვითცნობიერების...

— აი, ხიხო-ჯან, ესეც ბალი! დაჯექ სკამზე და დალაგებით მიამბე შენი თავგადასავალი. რა ხანია არ მინახევხარ.—აქ მე დავავლე ხელი ქვას და მივფანტ-მოვფანტე ქუჩის ბიჭ-ბუჭების ბრბო, რომელიც არ შორდებოდა ჩემს ძვირფასს მეგობარს. ხიხო ჩამოჯდა სკამზე, გაისწორა გვერდზე წასული ჩაჩი, შეაჟღრიალა ჩხარუნ-ჟღარუნები და გამიცინა!

— ესაც ასე, ჩემო მეგობარო! გიკვირს განა?! ხა, ხა, ხა... და ხიხომ დამკრა მუხლებზე თავისი ბეწვიანი ხელი.

— ხიხო-ჯან, თუ ღმერთი გწამს, აიხადე ეს მასხრობის პირ-ბადე! სხვა არა იყოს-რა, არ გიხდება!

— მეგობარო, ფრთხილად იყავ! მე თავმოყვარე კაცი ვარ და ამისთანა სიტყვებს არ მოვითმენ!

— დამშვიდდი მეგობარო! უკაცრავად! მე მხოლოდ მიკვირს...

— მიკვირს და მიკვირს! გააჭირე საქმე ამ გაკვირვებით!

— ნუ ჯავრობ, შენი შეურაცხყოფა ფიქრადაც არ მომსვლია!

— ჰო-ო, ეს კილო მომწონს! ამითი გული მომიგე!... მაშ ყურად იღე და როგორც რუსები ამბობენ, **намотай себѣ на усъ** შემდეგი: რეალიზმი, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს მწერლობაში... არა, ასე არა!, სინამდვილე, რომელსაც რომ ჰგრძნობს... გრძნობს კი არა... რომელიც მოკლებულია მშვენიერებას, ის მეტის-მეტად, ანუ როგორც ,,ცნობის ფურცლის'' უთავო მეთა...—ნუ გეშინიან, სხაპა-სხუპით ვიტყვი—როგორც უთავო მეთავე იტყოდა—ყოვლად შეუწყნარებელია! რეალიზმი... აფუ!- სინამდვილე ანუ მშვენიერება და სინამდვილე ერთმანეთში... აი, ასე უნდა იყვნენ!—აქ ხიხომ შეაერთა სალოკი და შუა თითი.—სინამდვილე მარტო ოდენ სინამდვილეა და მშვენიერება მშვენიერებაა! მაგრამ თუ სინამდვილე ამოავლე, ჩააყურყუმელავე მშვენიერების ანკარა წყალში და მშვენიერება სინამდვილის ქაში, მაშინ გამოვა.., გამოვა რამე...

— რამე სველი!—მივეშველე მე.

— ერთის სიტყვით, გამოვა ის, რაც გამოვიდა ჩემს ,,სალიტერატურო'' მიმოხილვაში'', რომელიც დაწერილია წარსულ, აწ მიცვალებულ წლის 23 დეკემბერს ,,ცნობის ფურცლის'' გადაღლეტილ ზურგზე. არ წაგიკითხავს?

— არა!

— უსათუოდ წაიკითხე და, თუ რამე გაიგე, მაშინ დაიკვეხე! მეცნიერების ტაძარი მხოლოდ მეცნიერთათვის არის აშენებული, მეცნიერული აზრი მხოლოდ მეცნიერთათვის არის გამოთქმული, ვინაიდგან აზრი, როგორც ფსიხიური მოვლენა, მიზეზობრივობის კატეგორიის ემორჩილება და თუ საჭიროა, უტილიტარიზმის პრინციპით შეიარაღებული, ჰქმნის მეცნიერების ფართო მრავალ-სართულიანს შენობას და, თუ იმ შენობას მოეჭრა მუხლები, იგი დაიშლება ვითა...

— მოითმინე, რა მუხლებზედ ამბობ? შენობის მუხლები?

— ბრიყვო! მხატვრობითი ენა შენთვის გაუგებარია!... ჰო, იგი დაიშლება და ხელოვნების ნაზი ტაძარი, გესმის, ნაზი!—აქაც არ მიშარო!—ტაძარი მოისპობა. სიტყვა-კაზმული მწერლობა და სინამდვილე ორი გვრიტია: ბაზანდა და ნავზანდა. ბაზანდა ნაზად, გაუბედავად ეტრფის ნავზანდას, მუდამ იმის გარშემო ტრიალებს, თავს ევლება და დაჰმღერის: ,,შენ გეტრფი მარად, ოჰ, ტკბილო ნავზანდ!'' დიაღ! სინამდვილე და ფანტაზია შეუღლებულნი, დაქორწინებულნი მაჭანკალ მშვენიერებით, არიან ნამდვილნი წარმომადგენელნი ესტეტიკის იმ დარგისა, რომელი დარგიც პოეზიის სხვა დარგზედ უდიდესია! ტა-რა-რა ბუმბია, ეშმაკების რუმბია! ტარა-რა...

— ხიხო-ჯან, თავბრუ მეხვევა! ვერაფერი ვერ გავიგე! რისთვის ისვრი ამ სიტყვებს? ეს ბუმბია რაღა ჯანაბაა? მე გკითხავ—რად ჩაგიცვამს მეთქი ეს ხალათი, რად დაგიხურავს ეს სულელური ჩაჩი და შენ-კი აბდა-უბდა-გადასკუპვას გაიძახი!

—მოთმინება, მეგობარო, მოთმინება! ეხლავე აგიხსნი ყველაფერს!

— ჰო, შენი ჭირიმე, ამიხსენ, როდის აქეთია რაც კრიტიკოსობა და კომიკოსობა დაიწყე? აქ ხომ მარტო მე და შენა ვართ—მოდი, ადამიანურის ენით მელაპარაკე!

— ეჰ, გოგრავ! შენი ნებაა... პაპიროსი არა გაქვს? ვუთავაზე; ხიხომ მოუკიდა, ნაფაზი ჰკრა, მოიხადა ჩაჩი და დაიწყო: შენ მეგობარო, კარგად უნდა გახსოვდეს, რომ მე პუბლიცისტურ ასპარეზისათვის ვამზადებდი ჩემს თავს. მაქვს შესწავლილი მთლად და სავსებით ფილოსოფია და უფლებანი, როგორც ამბობს ფაუსტი. პოლიტიკური ეკონომია ხომ მთლად ჩავყლაპე, თუმცა კარგად ვერ მოვინელე, რადგან გონების კუჭი დიდი ხანია მოშლილი მაქვს. როს ჩამოველ ჩემს ტურფა სამშობლოში, მე, სწორედ გითხრა, დიდ გაჭირვებაში ჩავარდი. კაცო, არ ვიცოდი, რისთვის მომეკიდა ხელი!.. ავიღე-დავიღე, ხელთ ვიგდე კალამი, დავიწყე ჯღაბნა... ჯერ რაღაცა დავხატე—არ გამოვიდა! ლექსი დავწერე—მარილი აკლდა! ვნახოთ, ერთმა აზრმა გამიელვა თავში: დავავლე ხელი ვაჟას ლექსებს და გავუსვი!.. გამოვიდა რაღაცა! სიტყვა-კაზმული მწერლობა მე თავისს დღეში არ მაინტერესებდა. ნიუნი, მიუნი ცრემლი, მშვენიერება, აღფრთოვანება—ეს ფუჭ სიტყვებად მიმაჩნია... გარდა სამიოდე კლასსიკურ თხზულებისა მე არა წამიკითხავს რა—ისიც იმიტომ წავიკითხე, რომ განათლებულ გვამთ არ ჩამოვრჩენოდი... რაღა გავაგრძელო სიტყვა—მე კრიტიკოსობა დავიწყე, ადვილი საქმეა, და ნამეტნავად თუ ფილოსოფიური ტერმინებით კარგად იცი... მასთანვე ჩვენი მკითხველი ყოველთვის პატივსა სცემს იმას, რაც გაუგებარის ენით არის დაწერილი—ალბად აქ ღრმა მეცნიერული აზრი იმალებაო! მეც ეს სიტყვები ყურში ჩამეწვეთა. ამიტომ ვხმარობ მძიმე სიტყვების მძიმე სიტყვების მძიმე არსენალს. კრიტიკის კათედრა ცარიელი დამხვდა და მე დავიჭირე იგი.

— ეს ყველაფერი კარგი! მაგრამ მასხრული მორთულობა რაღას ნიშნავს?

— ეს მორთულობა მასხრული-კი რ არის, იუმორისტიულია! სინამდვილე და მშვენიერება, როგორც წინადა ვსთქვი, განუშორებელი მეგობრები უნდა იყვნენ, თუ ხელოვნების სამთავროში შესვლა უნდათ... მე, როგორც კაცი, სინამდვილე ვარ, უფერული სინამდვილე და ამ ჩაჩმა და ჭრელმა ხალათმა მშვენიერების სიმბოლომ—მე ხელოვნურ კაცად მაქციეს.. როგორც კრიტიკოსი, ვარ სინამდვილე, როგორც ფელეტონისტი—მასხარა, მშვენიერება! აქამდის ზოილხონელების „ლავრები“ ძილს მიფრთხობდნენ და ეხლა-კი მე უფრთხობ ძილს მთელს საქართველოს. მე მეუბნებიან. ფხა გაკლიაო? შენი ოხუნჯობა ძალ-დატანებული, საცოდავი მიბაძვაა ცირკის მასხარნებისაო! მეც იმიტომ დავიხურე ეს ჩაჩი, ჩავიცვი ეს ხალათი და როგორცა მხედავ, შახათა ვარ გამოწყობილი. ვინც-კი შემომხედავს—სიცილით მოკვდება, რადგან სიცილი და ტირილი, კაცის გულის გამომეტყველნი, იმ სუბიექტიურ ნაწილს შეადგენენ ყოველ ინდივიდუმისას, რა ნაწილების გარეგან მთლიანობას არ უშლიან, შინაგან განაწილე...

— მოითმინე! როგორც გეტყობა, შენ ჯერ ხელობა არ აგირჩევია. კრიტიკოსობა და კომიკოსობა შენ არ გეწყობა და შენ იმათ. იცი რა? ეხლა, თბილ ამინდების გამო, ქართლის და კახეთის მინდვრები თაგვებისაგან განადგურებულია... ქირნახულს განსაცდელი მოელის! ხომ არ იკისრებთ შენ და შენი დამქაშები თქვენის ,,ფურცლიდან'' თითო გროშად ათ-ათ თაგვის მოკვლას? დიდს სამსახურს გაუწევთ ქვეყანას.

— მშვენიერი იდეაა! ჩინებული იდეაა! აქ სარგებლობის პრინციპია! ეხლავე შევატყობინებ ჩემს ძმა-ბიჭებს! მშვიდობით, მეგობარო! გირჩევ კრიტიკას მოჰკიდო ხელი: **благодатная статья**! თუ ოხუნჯობის გაკვეთილი გინდა აიღო, ,,ცნობის ფურცლის'' ფილოსოფოსთ მიჰმართე! პირველ ხარისხოვანი კომიკები არიან! თუ ღმერთი გწამს ,,ივერიის'' გადიდებაზე ნურაფერს ნუ მეუბნები. მე ორგანიულად მეჯავრება ყველაფრის, გარდა ჩემი თავის გადიდებისა. ჩემი ფსიხიკა იმღერევა, ლირიკური თვისებანი ჩემის გულისა ობიექტიურად სჩაგრავენ გენეზისს სულის განწყობილებისას, იდეალური მისწრაფება კუჭის ტკივილისა... მაგრამ, Adieu! ჩემი კანკანი არ გინახავს? მაშ ნახე, აი: შიკ ბლესკ იმერელეგან...

ხიხოს კვლავ დაედევნენ ქუჩის ბიჭები, კვლავ გაისმა სიცილი და ძახილი: გზა მიეცით, ზანგი მოდისო!

ნამგზავრი.

* * *

გაკვრით.

რა საძრახისია?!.

— რა საძრახისია, რომ მწერალი კალმით ზნეობასა და პატიოსნებას ჰქადაგებდეს და საქმით-კი ყველაფერს მიწასთან ასწორებდეს!..

— რა საძრახისია, რომ ჩვენი კრიტიკოსები წერილების გამოსაცხობად „ცომს“ უცხოელებისაგან სესხულობდნენ!..

— რა საძრახისია, რომ ადამიანი მაიმუნობდეს და თავის გასამართლებლად დარვინს იშველიებდეს!..

— რა საძრახისია, რომ რედაქტორი დასაბეჭდ წერილებსა თუ მოთხრობებს სულ არ კითხულობდეს და თავს „სახელგაკეთებულ“ მწერლის პატივისცემით იმართლებდეს!..

— რა საძრახისია... მაგრამ ამ ჩვენს დალოცვილ დროში სხვა რაღაა საძრახისი? საძრახისი მხოლოდ იგია, ვისაც იმდენი გმირობა არ შესწევს, რომ პატიოსნება და სიმართლე ფეხ-ქვეშ გათელოს...

შინ დაბრუნებული.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო, როგორც ჩემის მხრით, ისე რწმუნებულ ჩემდა ლეხურის ღვთის მშობლის ეკკლესიის მრევლის მხრითაც ქალაქ როსტოვის ვაჭარს ბ-ნს ლევან მამუკას ძეს გორდელაძეს, რომელმაც კეთილ-ინება და შემოსწირა რწმუნებულ ჩემდა ეკკლესიას ერთი ტრაპეზზედ დასასვენებელი ვერცხლის ჯვარი, ერთი ღვთის მშობლის ხატი ვერცხლისა, ოქროში დაფერილი, ორი დიდი შანდალი სანთლებით და ერთი საცეცხლური, ღირებული სულ თხუთმეტ თუმნად. ლეხურის ღვთის მშობლის ეკკლესიის მღვდელი ნესტორ კონტრიძე.

დეპეშა

11 იანვარი.

პეტერბურგი. 11 იანვარს ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფლებმა მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ მეუღლითა და ასულითურთ დაათვალიერეს რუსის აკვარელისტების საზოგადოების სურათთა გამოფენა. —11 იანვარს დაბრუნდნენ პეტერბურგს კნეინა ანასტასია ნიკოლოზის ასული რომანოვსკაია—გერცოგინა ლეიხტენბერგისა და დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ შეპერსი დაისაჯა შემდეგ იმისა, რაც მძიმე დანაშაული დაუმტკიცდა. კრანბორნი ამბობს, ინგლისმა გააგებინა გერმანიასაო, რომ არას გზით არ შეეცილება ბაღდადის რკინის გზის პროექტში, რომელშიაც ინგლისის კაპიტალისტებსა ჰსურსთ დიდი მონაწილეობა მიიღონ. რა ადგილამდის უნდა იქმნეს გაყვანილი ბაღდადის რკინის გზა სპარსეთის სრუტესთან, ამის თაობაზედ ინგლისსა და გერმანიას შორის მოხდა რამოდენიმე მოლაპარაკება.

ვაშინგტონი. სენატში უკვე განაცხადეს, რომ შეპერსის დასჯა ინგლისელებისაგან ჟენევის კონვენციის დარღვევას მოასწავებსო.

კოპენჰაგენი. მთავრობამ მიანდო დანიის ელჩს ვაშინგტონში ვესტინდიის კუნძულების გაყიდვის პირობაზედ ხელის მოწერა.

ორენბურგი. თავად-აზნაურთა წინამძღოლად არჩეულ იქმნა გვარდიის პოლკოვნიკი ტიმაშევი.

სევასტოპოლი. აღმოჩნდა, რომ გარდა იმ 7 ათასისა, რომელიც საურთიერთო ნდობის საზოგადოების კასსირმა გაჰფლანგა, წაღებულია კიდევ სათადარიგო თანხიდგან 18 ათასი მანეთი.

ვარშავა. ამ მხარის ზოგიერთ კომმერციულ სასწავლებლის ექიმებს დაევალათ სასწავლებელში სამ-სამი საათით ყოფნა.

ახალ-ალექსანდრიაში ადგილობრივ ინსტიტუტის სტუდენტთათვის საზოგადო საცხოვრებელს სახლს ამზადებენ.

მოსკოვი. დაიწყო წლიური კრება უნივერსიტეტის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისა.

12 იანვარი

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანების ძალით ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის შტაბის განყოფილება, რომელიც ფინლანდიის რაზმებს განაგებდა, საბოლოოდ გაუქმდა და მისი საქმეები გადაეცა ფინლანდიის სამხედრო ოლქის შტაბს.

10 იანვარს გარდაიცვალა პროფესორი სამთო ინსტიტუტისა ივანე ვასილის-ძე მუშკეტოვი.

მოსკოვი. გარდაიცვალა პროფესორი კოჟევნიკოვი.

კიევი. ჟილანსკის ქუჩაში გაჩნდა ცეცხლი; ორი ქალი მოსამსახურე დაიხრჩო კომლში.

ბერლინი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საიდუმლო ხელშეკრულობა ინგლისსა და გერმანიას შორის სრულიად არ ეხება მცირე აზიას; აგრეთვე ამ სახელმწიფოთა შორის სპარსეთის ყურეს შესახებ არავითარი საიდუმლო მორიგება არ მომხდარა.

ათინა მეფის სეირნობის დროს ბაღში, მას დაეცა ვიღაც კაცი დანით ხელში. ბაღის ზედამხედველი, რომელმაც დანა ააცილა მეფეს, დაჭრილია; ბოროტ-გამზრახველი დაპატიმრებულია; ეტყობა სულით ავადმყოფია.

კონსტანტინეპოლი სამოსის მთავრის მდგომარეობა შეირყა, კუნძულის ცუდი მართვის გამო.

კალუგა. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლად აირჩიეს ნიკოლოზ სიმონის ძე ივანოვსკი.

ბორისოგლებსკი. ,,სამთაწმინდაო'' სახელის ბაზრობა გათავდა. ვაჭრობა შედარებით დიდი არ იყო.

ხარკოვი. ქალაქის მოურავად არჩეულ იქმნა პროფესორი ჰოგორელკო.

ნიჟნინოვგოროდი. საბჭომ გარდასწყვიტა ზამთრობით დღესასწაულებში ორი საათით სწარმოებდეს ხოლმე ვაჭრობა ზაფხულში-კი ამ დროს მოუმატებენ.

ლოძი. მოვიდნენ საფრანგეთის კომერციული აგენტები, რომელნიც მეტოქეობას უწევენ გერმანიის ქარხნებს. მათ ხელს უწყობს ის გარემოება, რომ აქ აგიტაცია არის გამართული გერმანიის წინააღმდეგ.

ათინა. ის ხმები, რომ ვითომც მეფის მოკვლა განიზრახეს, მართალი არ გამოდგა.

პეკინი. ქვრივი იმპერატრიცა და მისი მოთათბირენი სერიოზული სჯას აქვთ—მოიწვიონ თუ არა უცხოეთიდგან მოთათბირენი სახელმწიფო მმართველობის შესაცვლელად.

ლონდონი- საზოგადოებათა პალატა იმ კითხვაზე, შეატყობინებენ თუ არა სახელმწიფოებს ტრანსვალის ინგლისთან შემოერთებას, კრანბორნმა უპასუხა, რომ ინგლისს არა აქვს ჩვეულებად უცხო სახელმწიფოებს აცნობოს ხოლმე რომელიმე ქვეყნის შემოერთება, თუ რაიმე განსაკუთრებული საბუთი არ თხოულობს ამას. ამიტომაც ამ ჟამად არავის აცნობებენ ტრანსვაალის შემოერთებას. ჰამილტონი ამბობს, ავღანის ემირმა დაარწმუნა ინდოეთის ვიცე-კაროლი. რომ ის ადგას მამის კვალს და იქნება მეგობარი მისის მეგობრებისაო. მე შევიტყეო, დასძინა ემირმა, რომ ბრიტანიის მმართებლობაც აგრეთვე ჩემი მეგობარი იქნება და განამტკიცებს იმ კავშირს,, რომელიც აერთებს ორსავე მმართებლობას.

პეტერბურგის ბირჟა, 4 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,20
პარიჟში „	37,65
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$374^3/_4$ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	358 გაყიდ.
$4^1/_2$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$87^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფუცლ.	$88^5/_8$ გასყ
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	$82^1/_2$ მსყიდ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები „	$457^1/_2$ წვრ. გაყიდ.
„ კასპიის ამხანაგობისა.	3900 წვრ. გაყიდ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	310 წვრ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა & ამხ.	146 ›
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. 2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. 7) ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 15 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ (9 ს. 48 წ).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადებანი

ამერიკის ვაზის სანერგე მ. ა. ანანოვისა

იყიდება ამერიკის ვაზის რქა—ნერგები. **რიპარია** 8 მანეთიდგან 10 მანეთამდე ათასი (მეტრობით), **რუპესტრის** 10-დგან 14 მანეთამდე. **რქები** იმავ ჯიშისა, დასარგავად გამოსადეგი, ეღირება სამი მანეთი ათასი.

იქვე იყიდება ბოჭკები სხვა-და-სხვა ზომისა.

იკითხეთ: ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგ. რიონი, ანანოვის მამული.

(5--266—4)

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА

„ВОСТОКЪ“ въ Баку

Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.

(10—261—9)

როიალები



პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

Музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

25—6—15

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თბილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამასწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თბილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артилер. ул., № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*.

Дозвол. цензурою. Тифлисъ 12-го Января 1902 г. გაზეთ ,,ტფილისის ფურცლისა'' და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ -მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე